ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

Г-171
965

СБОРНИК
ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

2

თებერვალი

თბილისი — 1965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმისა

1965 წლის 15 იანვარი

მახარაძის, სამტრედიისა და ახალქალაქის ბავშვთა რაიონული სპორტული სკოლების მუშაობის შესახებ

Г-9995

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ მახარაძის, სამტრედიისა და ახალქალაქის ბავშვთა სპორტულმა სკოლებმა ერთგვარად გააუმჯობესეს სასწავლო-სპორტული მუშაობა. აღნიშნულ სპორტულ სკოლებში მისაღები გამოცდები ტარდება წინასწარ შედგენილი ნორმატივების მიხედვით; ჯგუფები კომპლექტდება პერსპექტიული ბავშვებით და შესრულებულია სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადების გეგმები; გაკვეთილები ტარდება ხარისხიანად; მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანა წარმოებს არსებული წესის დაცვით, გამოცდების საფუძველზე.

მახარაძისა და ახალქალაქის ბავშვთა სპორტულ სკოლებში შექმნილია მწვრთნელთა საბჭოები და მშობელთა კომიტეტები (სამტრედიაში — მწვრთნელთა საბჭო); სამივე სპორტულ სკოლას აქვს სამუშაო გეგმა და სპორტღონისძიებათა კალენდარი.

აღნიშნული სპორტული სკოლების მოსწავლეებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკურ და ამხანაგურ შეჯიბრებებში. ასე, მაგალითად, მახარაძის რაიონის მოსწავლეთა გუნდმა, რომელიც ძირითადად სპორტული სკოლის ბავშვებით იყო დაკომპლექტებული, თავის ჯგუფში მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა; კარგად გამოვიდნენ მაგიდის ჩოგბურთელები, რომ-

ლებმაც მეორე ხარისხის დიპლომი მოიპოვეს; ამ სპორტული სკოლის კალათბურთელები და ფეხბურთელები ხშირად ატარებენ ამ-ხანაგურ მატჩებს მეზობელი რაიონების მოსწავლე-სპორტსმენებთან.

ტანმოვარჯიშეთა საკმაოდ ძლიერი კოლექტივია სამტრედიის ბავშვთა სპორტულ სკოლაში, სადაც დღეისათვის 6 პირველთანრიგოსანი და 9 მეორეთანრიგოსანი სპორტსმენი ჰყავთ. სამტრედიელმა მძლეოსნებმა საშემოდგომო რესპუბლიკურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს; პირად ჩათვლაში წარმატებებს მიაღწიეს კაპანაძემ, ოდილავაძემ და ნაცვლიშვილმა. სამტრედიის სასპორტო სკოლის მოსწავლეებიდან საკავშირო ზონალურ სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღეს ც. ჭკადუამ, დ. კაპანაძემ და ა. გაგუამ.

რიგ წარმატებებს მიაღწიეს ახალქალაქის ბავშვთა სასპორტო სკოლის მოსწავლეებმაც. მწვრთნელ ამბარცუმიანის მიერ მომზადებულმა მაგიდის ჩოგბურთელ ჭაბუკთა გუნდმა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა მეორე ჯგუფში; მეთხილამურე მოსწავლეებმა კი რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე საერთო მესამე ადგილი დაიკავეს.

მიუხედავად აღნიშნულისა მახარაძის, სამტრედიისა და ახალქალაქის ბავშვთა სპორტულ სკოლებს რიგი ნაკლოვანებები გააჩნიათ თავის მუშაობაში.

მახარაძის სპორტული სკოლის ტანმოვარჯიშეებს შექმნილი არა აქვთ მუშაობის ნორმალური პირობები; დარბაზი არ თბება, არაა შევსებული ტანვარჯიშული ინვენტარით. შემოწმების დროს მასწავლებლებს ურუშაძესა და კოტრიკაძეს არ აღმოაჩნდათ ჟურნალები, ხოლო ვარჯიშს ესწრებოდა 8 მოსწავლე ნაცვლად 30 მოსწავლისა (მოსამზადებელი ჯგუფი). სუსტადაა დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა, არ ტარდება სპორტული საღამოები, არ ეწყობა ლექცია-მოხსენებები, იშვიათად გამოდის კედლის გაზეთი, რეკორდების ცხრილში არ არის შეტანილი მიმდინარე და გასული წლის შედეგები.

სამტრედიის ბავშვთა სპორტულ სკოლაში შექმნილი არ არის მშობელთა კომიტეტი, არ ხდება სკოლის სამუშაო გეგმიდან გამომდინარე ჩატარებული მუშაობის ფიქსირება, არ არის რეკორდების ცხრილი და ფოტო-სტენდები. სკოლის ხელბურთელთა ერთადერთი გუნდი ძირითადად XI კლასის მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული და სასწავლო წლის დამთავრებისათვის ჯგუფი ურეზერვოდ რჩება. სკოლის ფეხბურთელთა ვარჯიშის შემოწმების დროს მწვრთნელ გ. ქუთათელაძეს, რომელიც სპორტული ფორმის გარეშე იყო მოსული, არ აღმოაჩნდა გაკვეთილის გეგმა-კონსპექტი. ვარჯიში ჩაა-

ტარა მდარე, მარტივი ტექნიკური ილეთების ჩვენებით; სასპორტო სკოლის რიგ მწვრთნელებს ცუდად აქვთ გაფორმებული ჟურნალები, რისთვისაც მწვრთნელ კვანტალიანს (კალათბურთი) გამოცხადებული აქვს საყვედური ბრძანებით.

ახალქალაქის ბავშვთა სპორტულ სკოლაში სუსტადაა დაყენებული სამედიცინო შემოწმება. მაგალითად, მწვრთნელ კალაშიანის მძლეოსანთა ორ ჯგუფს საექიმო შემოწმება გაუვლია მხოლოდ 1961 წელს, მწვრთნელ მელქონიანის ფეხბურთელთა 3 ჯგუფს კი საერთოდ არა აქვს გავლილი საექიმო შემოწმება. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადება; მწვრთნელ მელქონიანის მიერ გამოშვებულ ფეხბურთელთა ორი ჯგუფიდან მხოლოდ თერთმეტმა სპორტსმენმა დაამთავრა სკოლა, ისიც, მე-3 თანრიგით, მეორე ჯგუფში კი არცერთი თანრიგოსანი არ მომზადებულა. ახალქალაქის ბავშვთა სპორტული სკოლის მძლეოსანთა ჯგუფში დიდი განთესვაა; მწვრთნელ კალაშიანს 1961 წელს მიღებული ჰყავს ახალი ჯგუფი 16 მოსწავლის შემადგენლობით, ამ ჯგუფიდან ამჟამად, გამოშვების წელს, ვარჯიშობს მხოლოდ ოთხი, დანარჩენ 12 მოსწავლის შესახებ არ არის არც გარიცხვისა და არც უფროს ჯგუფში გადაყვანის ბრძანება; კალაშიანს არც ერთ ჯგუფში არა აქვს წლიური სამუშაო გეგმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი

ა დ გ ე ნ ე ნ

1. დაევალოს მახარაძის, სამტრედიისა და ახალქალაქის რაიონის ბავშვთა სპორტული სკოლების დირექტორებს (ამხ. ამხ. კ. ხმელიძე, შ. ნიკურაძე, ა. ადამიანცი):

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სპორტულ ჯგუფებში მწვრთნელების მიერ მეცადინეობის ხარისხოვნად ჩატარებისა და მოსწავლეთა მეცადინეობებზე დასწრების საქმეს;

ბ) არ დაუშვან მწვრთნელთა მიერ ცხრილით გათვალისწინებული მეცადინეობების თვითნებურად გადანაცვლება სხვა დღეებსა და საათებში;

გ) მწვრთნელებთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისშივე განსაზღვრონ ყოველი ჯგუფის მიხედვით მოსამზადებელი თანრიგოსნების რაოდენობა და მიაღწიონ იმას, რომ ყოველმა მწვრთნელმა შეასრულოს თანრიგოსნების მომზადების გეგმა;

დ) ერთი თვის ვადაში მოიყვანონ წესრიგში მთელი სასკოლო დოკუმენტაცია, რეგულარულად ჩაატარონ პედაგოგიური (მწვრთ-

ნელთა) საბჭოს სხდომები, ფართოდ გაშალონ მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა;

ე) ჯგუფების პერსპექტული ბავშვებით დაკომპლექტების მიზნით სასწავლო წლის დასაწყისში ჩაატარონ მისაღები გამოცდები ნორმატივების მიხედვით.

2. დაევალოს სამტრედიის ბავშვთა სასპორტო სკოლის დირექტორს (ნიკურაძე) ბავშვთა სასპორტო სკოლის დებულების შესაბამისად შექმნას მშობელთა კომიტეტი.

3. მახარაძის განათლების განყოფილებამ (ხ. ხავთასი) უახლოეს დროში უზრუნველყოს მეორე საშუალო სკოლის სასპორტო დარბაზი ფიზიკური კულტურის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ინვენტარით.

4. სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილებამ (ვ. თევზაძე) ჭაბუკ ხელბურთელთა ერთი ჯგუფის ნაცვლად შექმნას ორი ჯგუფი.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ახალქალაქის ბავშვთა სასპორტო სკოლის მწვრთნელთა საბჭომ 1964 წლის 7 დეკემბრის სხდომაზე მწვრთნელებს კალაშიანსა და მელქონიანს სუსტი მუშაობისათვის გამოუცხადა საყვედური.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

საქ. სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარე
გ. სიხარულიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 16 იანვრის ბრძანება № 49

ცხაკაიას, ყვარლის, ლაგოდეხისა და გარდაბნის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ერთგვარი მიღწევების მიუხედავად, ცხაკაიას, ყვარლის, ლაგოდეხისა და გარდაბნის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. გარდაბნის საბავშვო ბაღში ჩაშლილია სასწავლო-პედაგოგიური მუშაობა; აღმზრდელები პრიმიტიულ დონეზე ატარებენ მეცადინეობას; საბავშვო ბაღის გამგე ლ. ბაბაევა ვერ ერკვევა საბავშვო ბაღის მუშაობაში და სათანადო ხელმძღვანელობას და კონტროლს ვერ ახორციელებს პედაგოგიურ და სხვა მომსახურე პერსონალის საქმიანობაზე.

გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი ნ. ნემსაძე ვერ ფლობს სკოლამდელ ბავშვებთან მეცადინეობის ჩატარების ხერხებსა და მეთოდებს, მშობლიურ ენაში მან იმდენად მოსაწყენად და უინტერესოდ ჩაატარა მეცადინეობა, რომ ბავშვები ვერ ჩაწვდნენ შესასწავლი ლექსის შინაარსს.

შემოწმებული რაიონების უმრავლეს საბავშვო ბაღში მუშაობა ბუნებაში და ესთეტიკური აღზრდა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. ყვარლის, ბაისუბნისა და ლაგოდეხის მეორე საბავშვო ბაღები გადატვირთულია ისეთი მოძველებული სურათებით, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ესთეტიკურ მოთხოვნილებასა და მხატვრულ გემოვნებას. ცხაკაიას ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღში ოთახის ყვავილები ქვაბებშია მოთავსებული; ყვარლისა და ცხაკაიას რაიონების საბავშვო ბაღებში ნაკლები ყურადღება ექცევა ბუნებაში მუშაობასა და მის მოვლენებზე დაკვირვებას; არაა მოწყობილი ბუნების კუთხეები, ყვავილნარი, ეზოს სათამაშოები, ფიზკულტურული იარაღ-მოწყობილობანი და სხვა. ყვარლის რაიონის საბავშვო ბაღების ბავშვთა ნამუშევრები ხატვაში, ძერწვასა და კონსტრუირებაში არადამაკმაყოფილებელია.

შემოწმებული რაიონების უმრავლეს საბავშვო ბაღს არ აქვს მეთოდური და მხატვრული ლიტერატურა; ცხაკაიას რაიონის საფინანსო ორგანოები საბავშვო ბაღებს უკრძალავენ ჟურნალ-გაზეთების გამოწერას.

ყვარლის, ლაგოდეხისა და გარდაბნის რაიონების განათლების განყოფილებათა და სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეების არაგულისხმიერი დამოკიდებულების შედეგად სკოლამდელ დაწესებულებათა შენობებისა და ეზოების მხატვრული გაფორმების საზოგადოებრივი დათვალიერების მიმართულებით ფაქტიურად არაფერია გაკეთებული; უმრავლეს სკოლამდელ დაწესებულებაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მშობლებთან მუშაობა და აქტივის მოზიდვა.

შემოწმებული რაიონების ბევრი საბავშვო ბაღი შეგუებულ შენობაშია. ლაგოდეხის პირველი საბავშვო ბაღი ავარიულ მდგომარეობაშია; ცხაკაიას მეორე და მესამე საბავშვო ბაღები დაქირავებულ შენობაშია მოთავსებული, ხოლო გარდაბნის საბავშვო ბაღი შესაკეთებელია — ჭერი ჩამონგრეულია და წყალი ჩამოდის; აქ საალმზრდელო ჯგუფები, დერეფნები და საწყობები უსუფთაოა, ეზოგარემო ძალზე დანაგვიანებული, მოუვლელი და გაუმწვანებელია.

ქ. ცხაკაიას საბავშვო ბაღებში სამედიცინო მომსახურეობა არ დგას სათანადო სიმაღლეზე; ექიმი შტატით არა ჰყავთ, ხოლო ექთანი კვირაში ორჯერ მოდის, მაგრამ არ ადგენს მენიუსა და არ გამოჰყავს კალორაჟი. გარდაბნის რაიონის ვარკეთილის ბაგა-ბაღში დარღვეულია საშტატო დისციპლინა—სამ საშტატო ერთეულზე ორი აღმზრდელი მუშაობს.

ლაგოდეხის რაიონის ბაისუბნის საბავშვო ბაღში ადგილი ჰქონდა პროდუქტების მითვისების ფაქტებს. საბავშვო ბაღის გამგე მ. ბარბაქაძე, რომელიც ამავე დროს სამნეო ნაწილისა და საწყობის გამგის მოვალეობას ასრულებდა, ნაკლებ კონტროლსა და ხელმძღვანელობას უწევდა პროდუქტების სწორად გაცემისა და ხარჯვის საქმეს. მ. ბარბაქაძე საბავშვო ბაღში არ ყოფნის პერიოდში პროდუქტების საწყობის გასაღებს უტოვებდა მზარეულ ნ. ჩალაძეს. მეტიც, მ. ბარბაქაძის პირადი ბარათების საფუძველზე მზარეული ნ. ჩალაძე მას უგზავნიდა სხვადასხვა პროდუქტს ცენტრალური საწყობიდან, ვითომდა სესხად წამოღებული პროდუქტების გასასტუმრებლად. ასეთ პირობებში მზარეული ნ. ჩალაძე ბოროტად იყენებდა მდგომარეობას, ითვისებდა პროდუქტებს და უხარისხო კერძებს ამზადებდა. საბავშვო ბაღის ყველა თანამშრომელი მზარეულ

ნ. ჩალაძეს ახასიათებს როგორც უხემსა და საბავშვო ბაღის მუშაობაში არევდარევის შემტანს.

გარდაბნის საბავშვო ბაღში (გამგე ლ. ბაბაევა) სისტემატურად ადგილი აქვს პროდუქტების ფიქტიურად მიწერის ფაქტებს. გ/წ 3 ნოემბრის მენიუში გაწერილი იყო რძე, ფაქტიურად რძე საბავშვო ბაღში იმ დღეს არ შესულა. ცხაკაიასა და გარდაბნის რაიონების საბავშვო ბაღები ცუდად მარაგდებიან პროდუქტებით; იშვიათად ღებულობენ ხაჭოს, კვერცხს, ხორცს, ხილს და სხვა. გარდაბნის საბავშვო ბაღში თითოეულ ბავშვზე კვებისათვის დღეში ნაცვლად 59 კაპიკისა იხარჯება 35—40 კაპიკი. ორხევის ბაგა-ბაღში (გამგე ც. მგელაძე) რბილი და მაგარი ინვენტარი დაუტვიფრავია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ცხაკაიას, ყვარლის, ლაგოდეხის და გარდაბნის რაიონების სკოლამდელი დაწესებულებების გამგეებმა:

ა) უმოკლეს დროში გარდაქმნან სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობა იმ მითითებათა საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელო მასალებით;

ბ) აღმზრდელთა მუშაობაზე სისტემატური კონტროლითა და დახმარებით მიაღწიონ სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუშაობის სწორად აგებვა-აღრიცხვის საქმეს;

დ) შეუქმნან აღმზრდელებს პირობები, რათა თითოეული მათგანი მეცადინეობას ატარებდეს მომზადებულად, მაღალ დონეზე, ბავშვებისათვის მისაწვდომად და საინტერესოდ;

ე) განტვირთონ საალმზრდელო ჯგუფები ზედმეტი, გამოუყენებელი ინვენტარისაგან; ყოველდღიურად იზრუნონ ესთეტიკური აღზრდის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად;

ვ) მოაწყონ ბუნების კუთხეები, ეზოები და სათანადო მუშაობა ჩაატარონ ბუნებაში დაკვირვებაზე;

ზ) მჭიდრო კონტაქტი დაამყარონ მშობლებთან, და მტკიცედ დაიცვან მშობელთა კომიტეტის მუშაობის დებულება;

თ) მტკიცე კონტროლი და ხელმძღვანელობა დააწესონ პროდუქტების სწორად ხარჯვაზე, მკაცრი ზომები მიიღონ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ვერ იმსახურებენ ნდობას როგორც მატერიალურად პასუხისმგებელნი;

ი) მიიღონ სასწრაფო ზომები სკოლამდელ დაწესებულებათა ნივთიერი ბაზის განსამტკიცებლად სასწავლო ნივთებით, მეთოდუ-

რი ლიტერატურით, დიდაქტიკური სათამაშოებით და სპორტული ინვენტარით.

2. ლაგოდეხის რაიონის ბაისუბნის საბავშვო ბაღის გამგე მ. ბარბაქაძე პროდუქტების ხარჯვაზე არადამაკმაყოფილებელი კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის მოიხსნას სამუშაოდან.

3. გარდაბნის საბავშვო ბაღის გამგე ლ. ბაბაევა, რომელიც ვერ ერკვევა საბავშვო ბაღის მუშაობაში და ჩაშალა პედაგოგიურ-აღმზრდელობითი და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა, მოიხსნას სამუშაოდან.

4. სკოლამდელ დაწესებულებების მუშაობაზე სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის გარდაბნის განათლების განყოფილების გამგეს გ. რაზმაძეს მიეთითოს.

5. ლაგოდეხის განათლების განყოფილებამ (გამგე ტ. ბეგიაშვილი) ბაისუბნის საბავშვო ბაღის მზარეული ნ. ჩალაძე სათანადო წესით გაათავისუფლოს სამუშაოდან.

6. ცხაკაიას, ყვარლის, ლაგოდეხისა და გარდაბნის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში პედაგოგიურ-აღმზრდელობით და სამეურნეო-ორგანიზაციულ მუშაობაზე.

7. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინაშე ცხაკაიას რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურეობის გაუმჯობესების შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 15 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 20 იანვრის ბრძანება № 63

ქ. ჭიათურისა და საჩხერის რაიონის სკოლებში საწარმოო სწავლების მდგომარეობის შესახებ

გავეცანი რა ქ. ჭიათურისა და საჩხერის რაიონის სკოლებში საწარმოო სწავლების მდგომარეობას, აღვნიშნავ, რომ ქ. ჭიათურის მარგანტრესტის დამხმარე წარმოებათა სამმართველოს ელექტრომექანიკურ სახელოსნოში (დირექტორი ვ. ჩხეიძე) მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის შექმნილია სათანადო პირობები, აგებულია ცალკე ორსართულიანი შენობა და ამჟამად მიმდინარეობს დაზგა-დანადგარების დამონტაჟება და კეთილმოწყობა.

ნაყოფიერ მუშაობას ატარებენ ქ. ჭიათურის 1-ლი, საჩხერის 1-ლი და მე-2, არგვეთისა და ზოდის საშუალო სკოლების საზეინკლო საქმის (კ. ავალიანი), სამკერვალო საქმის (ე. ანასაშვილი), სოფლის მეურნეობის მექანიზაციის (ო. გოშაძე), მემცენარეობის (ქ. კვარაცხელია და ა. კერესელიძე), მევენახეობისა (ა. ბიწაძე) და მანქანათმცოდნეობის (კ. აბაშიძე) მასწავლებლები.

მიუხედავად ამისა შემოწმებულ სკოლებში საწარმოო სწავლების საქმეში არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები შეინიშნება. ამ დარგში ჩატარებული მუშაობის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს და ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობენ კანონიდან სკოლის შესახებ.

ზოგიერთი სკოლისა და წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის საჭირო საწარმოო ბაზების მოწყობაზე, რის შედეგად ამ სკოლებში დაბალ დონეზე ტარდება როგორც თეორიული სწავლება, ისე პრაქტიკული საწარმოო სწავლება და მოსწავლეთა მწარმოებლური შრომა. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტის „საქშახტმშენის“ ქ. ჭიათურის სამშენებლო სამმართველოს საქმიანი ეზო, სადაც საწარმოო სწავლებას ქ. ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლის IX—XI კლასების მოსწავლე ვაჟები გადიან და დურგლის პროფესიას ეუფლებიან. გამოყოფილი არაა სათავსოები და მოსწავლეები საქმიანი ეზოს მერქნის დამამუშავებელ საამქროში მიმაგრებული არიან მუშებთან და მეტად

პრიმიტიულ სამუშაოებს ასრულებენ, რაც არ შეესაბამება პროფესიული მომზადების სასწავლო პროგრამას. ქ. ჭიათურის 1-ლი და მე-3 საშუალო სკოლების IX—XI კლასების მოსწავლე გოგონები მკერავის პროფესიას ეუფლებიან, მაგრამ საამისოდ ამ სკოლებში მინიმალური პიროებებიც კი არაა შექმნილი, გამოყოფილი არაა სათავსოები, არ აქვთ საკერავი მანქანები, ნედლეული და სხვ.

სკოლებში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების საჭირო ხელსაწყოებითა და მასალებით შევსებას, რის შედეგად აღნიშნული კაბინეტები ვერ უზრუნველყოფენ ზოგადაგრონომიული და ზოგადტექნიკური საგნების სწავლებას სათანადო თვალსაჩინო მასალებით.

ზოგიერთი შემოწმებული სკოლისა და საწარმოს მიერ გამოყოფილ მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილებისათვის, სწავლებაში ნაკლებად იყენებს თვალსაჩინოებას, არ აწარმოებს გავლილი მასალის სისტემატურ და საფუძვლიან გამეორებას, რის გამოც მოსწავლეებს არ აქვთ ამ მასალის მკვიდრი ცოდნა. ასე, მაგალითად, საჩხერის რაიონის ზოდის და ჭალის საშუალო სკოლებში სასოფლო-სამეურნეო მანქანათმცოდნეობას ასწავლიან დირექტორის მოადგილეები საწარმო სწავლების დარგში, რომლებიც გაკვეთილებს ზერელედ, ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე ატარებენ.

ზოდის საშუალო სკოლის IX კლასში მასწავლებელმა (ა. ბიწაძე) თემა „სამუხრუჭე მოწყობილობა“ მოსწავლეთათვის გაუგებრად და ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე გადასცა, მაშინ, როდესაც შეიძლებოდა პლაკატების ან თვით სამუხრუჭე მოწყობილობის გამოყენება. დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ჭალის საშუალო სკოლის მე-10 კლასის (მასწავლებელი პ. მაჭავარიანი) მოსწავლეებმა. მათ ვერ ჩამოთვალეს სამამულო წარმოების მუხლუხა და თვლიანი ტრაქტორების მარკები, შიგაწვის ძრავებში გამოყენებული საწვავის სახეები და წარმოდგენა არა აქვთ ძრავას ეფექტურ და ინდიკატორულ სიმძლავრეზე.

ზოგიერთ საწარმოს მიერ გამოყოფილი სპეციალისტები და მასწავლებლები ვერ ახორციელებენ კავშირს სპეციალური მომზადების, ზოგადტექნიკურსა და ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს შორს, რის შედეგად მოსწავლეებს არ ეძლევათ სრულყოფილი წარმოდგენა ტექნიკური დანადგარების მთლიანობასა და ტექნოლოგიურ პროცესებზე, ასე, მაგალითად, საჩხერის I-ლი საშუალო სკოლის XI კლასში მასწავლებელმა (ი. კაპანაძე) ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე მოახდინა ელექტროტექნიკაში ვატმეტრის მოწყობილობისა

და სიმძლავრის გაზომვის ახსნა. მოსწავლეებს არ მოაგონა ფიზიკიდან სწორი დენისა და დენიანი კოჭის მაგნიტური ველი, სიმძლავრე, მისი ერთეულები და სხვ. ამასთან აღსანიშნავია XI კლასის მოსწავლეთა დაბალი მომზადება, როგორც ელექტროტექნიკაში ასევე ფიზიკაში. ამ კლასის მოსწავლეთა უმრავლესობამ ვერ განმარტა დენის, ძაბვის, წინააღმდეგობის ერთეულები, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საკითხზე—„მაგნიტური ველის მოქმედება დენზე“ და სხვ. თითქმის ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ქ. ჭიათურის მე-3 საშუალო სკოლის XI კლასში (მასწავლებელი შ. ნიორაძე).

ზოგიერთ შესწავლილ სკოლაში გაკვეთილების ცხრილი არ არის შედგენილი პედაგოგიურ მოთხოვნათა შესაბამისად, ადგილი აქვს საგნების ანდა ზოგჯერ ერთი და იგივე საგნის ზედიზედ, შუალედების გარეშე შეტანის შემთხვევებს, არასწორად არის შეტანილი ზოგადტექნიკური და ზოგადაგრონომიული საგნები. საჩხერის მე-2 და საირხის საშუალო სკოლების ცხრილში ელექტროტექნიკა, მანქანათმცოდნეობა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმცოდნეობა თითო საათია შეტანილი სხვადასხვა დღეს. აგრეთვე საჩხერის I-ლ საშუალო სკოლაში ზოგადტექნიკურ და ზოგადაგრონომიულ საგნებზე კლასი იყოფა ორ ჯგუფად, რაც განათლების სამინისტროს მითითებას ეწინააღმდეგება.

რიგ შემოწმებულ სოფლის სკოლებში არასწორად არის შედგენილი პრაქტიკული სწავლებისა და მწარმოებლური შრომის გრაფიკი. საირხის საშუალო სკოლის IX კლასში მევენახეობას სწავლობენ, ხოლო გრაფიკში საკითხები მემინდვრეობიდანაა შეტანილი. ზოდისა და ჭალის საშუალო სკოლების IX კლასებში გრაფიკით პრაქტიკული სწავლება და მწარმოებლური შრომა გათვალისწინებულია მემცენარეობასა და მეცხოველეობაში მაშინ, როდესაც იგი, ამ კლასში, მხოლოდ სპეციალურ მომზადებაში უნდა ტარდებოდეს. არგვეთის საშუალო სკოლაში პრაქტიკული საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის გრაფიკის ნაცვლად შედგენილია ტექნოლოგიური რუკა, რომელშიც არ ჩანს, რა საკითხებზე ჩატარდება პრაქტიკული მუშაობა და მწარმოებლური შრომა.

სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია პოლიტექნიკური საგნების მეთოდგაერთიანების მუშაობას სკოლაში. უმეტეს შემთხვევაში ისინი ფორმალურად არის შექმნილი. მათ სამუშაო გეგმებში საკითხები ზოგადია და უგულებელყოფილია საწარმოო სწავლებისა და პოლიტექნიკური ციკლის ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლების კოორდინირება.

სკოლების ერთ ნაწილში ნაკლები ყურადღება ექცევა საწარმოო სწავლებაზე გადაყვანილ მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმებას. ზოდის საშუალო სკოლაში (დირექტორი პ. გაბრიჭიძე) 1961 წლის შემდეგ არცერთი მოსწავლე არაა გატარებული სამედიცინო კომისიაზე.

მოსწავლეთა პროფესიულ მომზადებაში არსებული ნაკლოვანებები ნაწილობრივ იმის შედეგიცაა, რომ დირექტორის მოადგილეებად საწარმოო სწავლების დარგში უმეტეს შემთხვევაში არ არიან სპეციალისტები. საჩხერის 3 საშუალო სკოლიდან სამივეში დირექტორის მოადგილედ საწარმოო სწავლების დარგში მუშაობენ აგრონომები.

ზოგიერთ შემოწმებულ სკოლაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი საწარმოო სწავლების მასწავლებლებისადმი. სკოლის დირექტორებს, დირექტორის მოადგილეებს სასწავლო მუშაობისა და საწარმოო სწავლები დარგში მცირე რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები საწარმოო სწავლებაში, ხოლო მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი ზოგადია და ქმედით დახმარებას ვერ უწევს მასწავლებლებს პედაგოგიური დახელოვნების საქმეში. ასე, მაგალითად, საირხის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში (ვ. მიქაძე) საწარმოო და შრომითი სწავლების გაკვეთილებზე არცერთხელ არ დასწრებია, ხოლო დირექტორის მოადგილეს საწარმოო სწავლების დარგში (შ. ჩაბრაძე) 2 გაკვეთილი აქვს მოსმენილი, მაგრამ ანალიზი მეტად ზოგადია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. ჭიათურისა და საჩხერის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) აღნიშნული ბრძანება განიხილონ სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) სათანადო სასჯელი დაადონ ბრძანებაში აღნიშნულ სუსტ მასწავლებლებს;

გ) მიიღონ ზომები საწარმოოსწავლებიანი სკოლების ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების შევსებისათვის იმგვარად, რომ უზრუნველყონ სპეციალური, ზოგადტექნიკური, ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების სწავლება თვალსაჩინო მასალებით;

დ) პერიოდულად შეამოწმონ სკოლებში საწარმოო სწავლების მდგომარეობა და სათანადო დახმარება გაუწიონ მათ შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 30 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა

1965 წლის 27 იანვარი

განათლების მუშაკთა ხელფასის მომატებაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მახარაძის, ბორჯომისა და ხაშურის რაიონებში

პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავენ, რომ განათლების მუშაკთა ხელფასის მომატების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1964 წ. 15 ივლისის № 620 დადგენილების და ამის საფუძველზე „განათლების მუშაკთა ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1964 წ. 4 სექტემბრის № 598/II—18 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის გასაცნობად განათლებისა და საანგარიშო დარგის მუშაკთა შორის ჩატარებულია ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ამასთან ქართულად დაიბეჭდა და თითოეული სკოლა და სხვა დაწესებულება უზრუნველყოფილია დასახელებული ინსტრუქციით.

მიუხედავად ამისა ახალი კანონმდებლობით ხელფასების დადგენისა და გაცემის საქმეში ბორჯომისა და მახარაძის რაიონებში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს, ხოლო ხაშურის რაიონში დაშვებულია სერიოზული დარღვევები.

ზოგიერთი სკოლის დამტკიცებული სატარიფიკაციო სიები არ არის სრულყოფილად გაფორმებული. ბევრ მათგანში არ არის შეტანილი ყველა მაჩვენებელი (კლასებისა და მოსწავლეთა რაოდე-

ნობა 1 სექტემბრის მდგომარეობით, სასწავლებლის, ფაკულტეტის, დიპლომის, მოწმობის დასახელება, მათი გაცემის დრო, რომელ კლასსა და რა საგანს ასწავლის). ამასთან აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა ტარიფიკაცია ჩატარებულია ძველი ფორმებით. სატარიფიკაციო სიებში შეტანილია უკვე არარსებული თანამდებობები, როგორიცაა სასწავლო ნაწილის გამგე, სკოლის გამგე და სხვა.

სატარიფაკაციო სიებს არ ერთვის დირექტორის ბრძანებიდან ამონაწერი სასწავლო ნაწილში მეორე მოადგილის მუშაობის მოცულობის შესახებ.

რიგ შემთხვევაში სატარიფიკაციო სიებში მასწავლებლებისათვის დამტკიცებული სასწავლო დატვირთვა და ხელფასი არ ემთხვევა ფაქტიურს.

ხაშურის რაიონში ტარიფიკაციით დამტკიცებული ხელფასის განაკვეთების შეცვლა არ წარმოებს დადგენილი წესით. ამასთან განათლების განყოფილებაში არ არის ტარიფიკაციის ნაკრები უწყისები—დანართი № 2 და 3.

ზოგიერთ მასწავლებელს და სხვა მუშაკებს სწორად არ აქვთ დადგენილი განათლების ცენზი, პედაგოგიური სტაჟი; რის გამოც არაკუთვნილი თანრიგით ეძლევათ ხელფასი. ბორჯომის I საშუალო სკოლაში საშუალო ზოგადი განათლების მქონე შრომის მასწავლებელს ა. ვ. კურტანიძეს ხელფასი ეძლევა III თანრიგით, ნაცვლად IV თანრიგისა, ასევე ამ სკოლის ხელგარჯილობის მასწავლებელი მ. ლ. ედიშერაშვილი, რომელსაც მხოლოდ 7 კლასის განათლება აქვს, ტარიფიცირებულია III თანრიგით და ა. შ.

ბორჯომის რაიონის სოფ. ტბის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი მ. ვ. ლურსმანაშვილი ამ სკოლაში მუშაობს 1939 წლიდან დღემდე. 1964 წლის I სექტემბრისათვის მას შეუსრულდა პედაგოგიური მუშაობის 25 წლის სტაჟი, მაგრამ ხელფასი დღემდე ეძლევა 25 წლამდე სტაჟით.

ასეთივე მდგომარეობაშია ციხისჯვრის საშუალო სკოლის მასწავლებელი დ. თ. იორდანოვი და ზოგიერთი სხვა.

ხაშურის რაიონში არასწორად არის გაგებული მოქმედი ინსტრუქციის მე-60 მუხლი პედაგოგიური მუშაობის 25 წლის სტაჟისა და არასრული დატვირთვის მქონე მასწავლებლებისათვის ხელფასის გარანტირებული ნაწილის მიცემის შესახებ, რის გამოც მასწავლებლებს ა. გაგლოევს (ღართის 8 წლ. სკოლა), ვ ბადრიშვილს (სატიბეს 8 წლ. სკოლა), ნ. ლიპარტიას (რველის 8 წლ. სკოლა), ლ. გელაშვილს (დირბის საშ. სკოლა), ა. ლობჟანიძეს (ქინძათის 8 წლ.

სკოლა), თ. კოლოდის (ოსიაურის 8 წლ. სკოლა), ი. გელაშვილს, ა. წერეთელს (კორტანეთის 8 წლ. სკოლა), ვ. გაგლოევს (გვერდისუბნის 8 წლ. სკოლა) და სხვებს არ ეძლევათ ასეთი.

ბორჯომის I საშუალო სკოლაში ხელფასის გარანტირებული ნაწილი არ ეძლევა 33 წლის სტაჟის მქონე მასწავლებელს თ. ჩოხელს, რომელსაც I—IV კლასებში აქვს 6 საათი, ხოლო V—VIII კლასებში—12 საათი და აგრეთვე ნ. გურამიშვილს, რომელსაც მხოლოდ 6 სათი აქვს.

ხაშურის რაიონში მოქმედი ინსტრუქციის 70-ე მუხლის საწინააღმდეგოდ I—IV კლასების მასწავლებლებს რვეულების გასწორების გასამრჯელო ეძლევათ წერითი სამუშაოების მქონე საგნებისათვის განკუთვნილი საათების პროპორციულად.

ხაშურის რაიონის იმ 8-წლიან და საშუალო სკოლებში, სადაც 16 კლასკომპლექტამდეა, შრომის მასწავლებლებს ოსტატის მოვალეობის შესრულებისათვის გასამრჯელო ეძლევათ 15 მანეთის ოდენობით თვეში, ნაცვლად კანონით დაწესებული 20, 30 და 40 მანეთისა, ხოლო ქალაქის იმ სკოლებში, სადაც 16 კლასია ეძლევათ 30 მანეთის ოდენობით, ნაცვლად 40 მანეთისა.

ხაშურის, ბორჯომის და მახარაძის რაიონების რვაწლიან და საშუალო სკოლებში, სადაც კლასკომპლექტების რიცხვის მიხედვით გათვალისწინებულია კლასგარეშე ფიზკულტურული მუშაობისათვის დამატებითი გასამრჯელო, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს იგი ეძლევათ წრეების ხელმძღვანელებისათვის დამტკიცებული განაკვეთებით და არა მასწავლებლის განაკვეთიდან, რის გამოც ეს მასწავლებლებლები ხელფასს ღებულობენ კუთვნილზე ნაკლებს,

ხაშურის რაიონის სოფლის ზოგიერთ სკოლაში (ციხისჯვრის, ვაყის, ალის, ხაშურის მეორე და სხვა) დირექტორებს, მათ მოადგილეებს და სხვა თანამდებობის პირებს, სამინისტროს განსაკუთრებული ნებართვის გარეშე აქვთ კვირაში 12 საათზე მეტი სამასწავლებლო დატვირთვა, ამასთან, ამ თანამდებობის პირებს შეთავსებული აქვთ კაბინეტის, სასწავლო-საცდელი ნაკვეთის, სახელოსნოს გამგებლობა, რაც აკრძალულია.

ამავე რაიონის ზოგიერთ სკოლაში სწორად არ წარმოებს მასწავლებლების ხელფასის გამოანგარიშება. ვაყის საშუალო სკოლაში მასწავლებლების ვ. დოვლათოვის, ლ. ვაშაკიძის, ლ. ღვინიაშვილის, გ. ნოზაძის დაწყებითი კლასების საათების ხელფასები გამოანგარიშებულია კუთვნილი განაკვეთის 18-ზე გაყოფით. რაიონის ბევრი სკოლის ყოველთვიურ უწყისებში ცალკე არ არის გამოყოფილი ხელფასის გარანტირებული ნაწილი, არამედ ჩათვლილია გაკვეთილე-

ბისათვის კუთვნილ ხელფასში, ხოლო ზოგიერთ სკოლაში სულ არ ხდება ასეთის გაცემა და მასწავლებელთა ხელფასი გამოანგარიშებულია მთლიანი განაკვეთიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახარაძის, ბორჯომისა და ხაშურის რაიონებში ძირითადად სხვა დაწესებულებებში მომუშავე მასწავლებლებს, აგრეთვე სკოლების და პიონერთა სახლების წრეების ხელმძღვანელებს ხელფასს აძლევენ კვირეული დატვირთვის მიხედვით და არა საათობრივი ანაზღაურების წესით, როგორც ეს კანონით არის დაწესებული.

პროფკავშირის რაიონული და ადგილობრივი კომიტეტები და განათლების განყოფილებები არა საკმაო კონტროლს ახორციელებენ მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა ხელფასის ანაზღაურების საქმეში მთავრობის დადგენილების განუხრელად გატარებისადმი.

პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს მახარაძის, ბორჯომის და ხაშურის რაიონების განათლების განყოფილებებს, პროფკავშირის რაიკომებთან ერთად. დაუყოვნებლივ გამოასწორონ შემოწმებით გამოვლინებული დარღვევები.

2. უზრუნველყონ სრულყოფილად გაფორმებული სატარიფიკაციო სიების დამტკიცება და არ დაუშვან სასწავლო წლის განმავლობაში მათში რაიმე ცვლილებების შეტანა დადგენილი წესის დაუცველად. გადამჭრელი ზომები მიიღონ იმისათვის, რომ სატარიფიკაციო სიები ზუსტად შეესაბამებოდეს სკოლაში მასწავლებელთა შორის დატვირთვის განაწილებისა და ხელფასის ანაზღაურების ფაქტიურ მდგომარეობას, მკაცრად დასაჯონ სკოლების ის დირექტორები, რომლებიც არ დაიცავენ ამ კანონს.

მკაცრი კონტროლი დააწესონ მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა ხელფასის განაკვეთების ახალი კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით დადგენა-გაცემის საქმეზე.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ უკვე დაშვებულია მითითებები ოსტატის მოვალეობის შესრულებისათვის შრომის მასწავლებლების დამატებითი გასამრჯელოს და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებზე კლასგარეშე მუშაობისათვის დამატებითი ხელფასის გაცემის საქმეში დაშვებული უზუსტობის გამოსასწორებლად,

4. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს (ამხ. თ. ზახაშვილს) ყველა საკურსო ღონისძიებისას გაითვალისწინოს

მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა შრომის ორგანიზაციისა და ხელფასის ანაზღაურების საკითხების გაშუქება.

4. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციას ფართოდ გააშუქოს ხელფასის ახალ პირობებზე გადასვლის მიმდინარეობა, შემოიღოს სპეციალური კუთხე განათლების მუშაკთა ხელფასის ანაზღაურების საკითხებზე კონსულტაციის მოსათავსებლად.

6. პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის შრომისა და ხელფასის განყოფილებამ და სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ თვალყური ადევნონ ამ დადგენილების შესრულებას.

	განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი	მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
თ. ლაშქარაშვილი	**ლ. მაღლაფერიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 27 იანვრის ბრძანება № 82

სპორტის ტექნიკურ სახეებში საკავშირო III სპარტაკიადისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

სპორტის ტექნიკურ სახეობებში საკავშირო III სპარტაკიადაში მონაწილეობის თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 ნოემბრის და 1964 წლის 3 დეკემბრის დადგენილებების შესასრულებლად რესპუბლიკის ბევრ სკოლაში, ბავშვთა ტექნიკურ სადგურებთან და პიონერთა სახლებთან არსებულ ტექნიკურ წრეებში გარკვეული მუშაობა ჩატარდა. სპარტაკიადის პროგრამით უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ეწყობოდა შეჯიბრებები ავიამოდელიზმში, გემთმოდელიზმში, სროლასა და რადიოსპორტში.

მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, ამ საქმეში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს. ზოგიერთი განათლების განყოფილება (ბოლნისი, ახალქალაქი, ახმეტა, გორი, ზესტაფონი, ყაზბეგი, ლანჩხუთი, ლენტეხი, მაიაკოვსკი, მესტია, მცხეთა, ორჯონიკიძე, საგარეჯო, საჩხერე, თიანეთი, წალენჯიხა, ჩოხატაური) დასჯერდა იმას, რომ ფორმალურად განიხილა განათლების სამინისტროს ბრძანებები, მუშაობის გასაშლელად არ განახორციელა კონკრეტული ღონისძიებანი და ვერ უზრუნველყო მოსწავლეთა გუნდების გამოგზავნა რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე.

მრავალი სკოლა არ ზრუნავს სპორტის ტექნიკურ სახეებში წვრთნის, ვარჯიშის, მეცადინეობისა და შეჯიბრებების ჩასატარებლად. ჯერ კიდევ არასაკმარისად ტარდება სპორტის ტექნიკური სახეების პროპაგანდა მოსწავლეთა შორის; ბევრ სკოლაში შენელებულია თავდაცვითი-მასობრივი მუშაობა, არ ეწყობა შეხვედრები საბჭოთა კავშირის გმირებთან, დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან, არ ტარდება ლექცია-მოხსენებები, მასობრივად არ ეწყობა ნორჩ ავიამოდელისტთა და გემთმოდელისტთა ნამუშევრების გამოფენები, ტექნიკური და გასამხედროებული თამაშობანი, არ არის

ჩამოყალიბებული თავდაცვითი ხასიათის (ავტოსამოდელო, ავიასამოდელო, გემთსამოდელო, მოტორის, რადიოტექნიკის საფუძვლების, ტოპოგრაფიის, ავტომობილის, ტრაქტორის, პარაშუტის) შემსწავლელი წრეები და გუნდები. განათლების განყოფილებები სათანადოდ არ აკონტროლებენ და არ წარმართავენ სკოლებისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების მუშაობას ამ მიმართებით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სპორტის ტექნიკურ სახეებში 1965 წლის III საკავშირო სპარტაკიადაში რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესასრულებლად;

ბ) მითითება მისცენ სკოლებს, სკოლა-ინტერნატებს, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებს, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებისა და სახლების დირექტორებს, რათა გადაჭრით გააუმჯობესონ ტექნიკური წრეების მუშაობა. სპორტის ტექნიკური სახეების ფართო პროპაგანდის გზით მაქსიმალურად ჩააბან VI—VIII კლ. მოსწავლეები ავტოსამოდელო, ავიასამოდელო, გემთსამოდელო, რადიომოყვარულთა, ტოპოგრაფიისა და მოტორის შემსწავლელ წრეებში, ხოლო IX—XI კლ. მოსწავლეები ავტომძღოლთა, ტრაქტორისტთა, პარაშუტისტთა და ელექტრო ტექნიკოსთა წრეებში;

ბ) თითოეულ რვაწლიან, საშუალო სკოლასთან და სკოლა-ინტერნატთან შექმნან სპორტული სექციები ან გუნდები სპორტის ორ-სამ სახეში (რადიო, ავტოსამოდელო, ავიასამოდელო, გემთსამოდელო, ტოპოგრაფიის, სროლის, მოტორის, ავტომძღოლთა, ტრაქტორისტთა, პარაშუტისტთა და სხვ).

დ) მიაღწიონ იმას, რომ სასწავლო წლის მანძილზე უფროსი კლასების მოსწავლეებმა, როგორც წესი, ჩაბარონ „თავდაცვითი-ტექნიკური მინიმუმის“ ნორმები;

ე) ყოველწლიურად ჩაატარონ სასკოლო, სარაიონო, საქალაქო შეჯიბრებები სპორტის ტექნიკურ სახეებში და მოაწყონ ნორჩ ავიამოდელისტთა, გემთმოდელისტთა, რადიომოყვარულთა, ავტომოდელისტთა და სხვა ნამუშევრების გამოფენა;

ვ) დოსაააფის ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად ა/წ 25 თებერვლამდე შეამოწმონ, თუ როგორ ასრულებენ სკოლები, სკოლა-ინტერნატები და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებები სპორ-

ტის ტექნიკურ სახეებში საკავშირო III სპარტაკიადისათვის მზადების თაობაზე ზემდგომი ორგანოების აღნიშნულ დადგენილებებსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებს შემოწმების შედეგები განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და მიღებული დადგენილება გადმოუგზავნონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ა/წ 5 მარტამდე.

2. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (გ. ეპიტაშვილი):

ა) რეგულარულად ჩაატაროს ავიამოდელისტთა, გემთმოდელისტთა, ავტომოდელისტთა და რადიოტექნიკური წრეების ხელმძღვანელთა 12 დღიანი რესპუბლიკური სემინარი;

ბ) სისტემატური კონსულტაციებისა და ადგილებზე პრაქტიკული დახმარების აღმოჩენით უზრუნველყოს მოსწავლეთა ტექნიკური წრეების ნორმალური მუშაობა და მათი საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშიროს სპორტის ტექნიკურ სახეებში საკავშირო III სპარტაკიადის დებულებითა და პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

გ) სათანადო მუშაობა ჩაატაროს 1965 წლის ზაფხულში ნორჩ ავიამოდელისტთა, გემთმოდელისტთა, ავტომოდელისტთა და რადისტთა რესპუბლიკური შეჯიბრებების მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარებისათვის.

3. რვაწლიანი, საშუალო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) სპორტის ტექნიკურ სახეებში ვარჯიშის, მეცადინეობისა და შეჯიბრებების ჩატარების მიზნით მოაწყონ ავიასამოდელო და გემთსამოდელო კაბინეტები, სასპორტო (პნევმატური) ტირები და სხვ.

ბ) შექმნან რადიომოყვარულთა სადგურები;

გ) გააჩაღონ თავდაცვითი-მასობრივი მუშაობა, სისტემატურად მოაწყონ შეხვედრები საბჭოთა კავშირის გმირებთან, დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან. ჩაატარონ ლექცია-მოხსენებები სამხედრო-ისტორიულ თემებზე რეგულარულად მოაწყონ საინტერესო და შინაარსიანი ტაქტიკური, გასამხედროებული თამაშობანი;

დ) მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარონ სასკოლო შეჯიბრებები სპორტის ტექნიკურ სახეებში, მოაწყონ თვითნაკვეთი მოდელებისა და ხელსაწყოთა გამოფენები და საბრძოლო დიდების კუთხეები.

ფართოდ გაშალონ თავდაცვითი მასობრივი მუშაობა და მაქსიმალურად ჩააბან VI—XI კლ. მოსწავლეები სპორტის ტექნიკურ სახეებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ეს ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის რვაწლიანი და საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 15 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 28 იანვრის ბრძანება № 83

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 8 აპრილის № 403 ბრძანების შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ ჩოხატაურის რაიონის კოხნარის საშუალო სკოლაში

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 8 აპრილის № 403 ბრძანების შესასრულებლად ჩოხატაურის რაიონის კოხნარის საშუალო სკოლას გარკვეული მუშაობა აქვს ჩატარებული. რეგულარულად ტარდება პედაგოგიური საბჭოს სხდომები, დადგენილებები საქმიანი და კონკრეტულია. სკოლის დირექტორი მ. ჩიგოგიძე და სასწავლო ნაწილის გამგე დ. თოდუა სისტემატურად ამოწმებენ მასწავლებელთა გაკვეთილებს და სათანადო მითითებებს აძლევენ მათ შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მასწავლებელთა შორის ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან სკოლასთან ჩამოყალიბებული სასკოლათაშორისო მეთოდური გაერთიანებები. შედგენილია საკონტროლო წერითი სამუშაოების გრაფიკი, რომლის შესრულებას სერიოზული ყურადღება ექცევა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მოსწავლეთა ნამუშევრებს გულდასმით ასწორებენ და შესაბამისად აფასებენ. დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მოსწავლეთა აკადემიური წრეები. 1964 წლის ნოემბრის თვეში ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილებას შეუმოწმებია ამ სკოლის მუშაობა და არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დაუსახავს საჭირო ღონისძიებანი.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული ბრძანების შესრულებაში კვლავ შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა ცოდნის დონე ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში, ასე, მაგალითად: სასწავლო წლის პირველ მეოთხედში 267 მოსწავლიდან 67 მოსწავლე ვერ ასწრებდა, აქედან სამ და მეტ საგანში—57, ხოლო მეორე წლიან 16 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 7 მოსწავლე. სკოლაში პირველ მეოთხედში მოსწავლეთა მიერ გაცდენილია 3303 გაკვეთილი, აქედან არასაპატიო მიზეზით—1060.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების დონე დაბალია. მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა ჩაბმული კლასგარეშე კითხვაში, 273 მოსწავლიდან ბიბლიოთეკის წიგნებით სარგებლობს მხოლოდ 153. ოთახების სიმცირის გამო ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები საკლასო ოთახების კარადებშია მოთავსებული, ამ საგნებში პროგრამით გათვალისწინებული ყველა ცდის ჩატარება ვერ ხერხდება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლის დირექტორმა (მ. ჩიგოგიძე) და სასწავლო ნაწილის გამგემ (დ. თოდუა):

ა. გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე; დანერგონ პრაქტიკაში მასწავლებელთა შორის მოწინავე გამოცდილება;

ბ. ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ მოსწავლეთა ცოდნის დონის ასამაღლებლად, მიაღწიონ მათ მიერ პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შეგნებულად ათვისებას;

გ. აღმოფხვრან მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენის შემთხვევები.

დ. აამაღლონ მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების დონე, მიაღწიონ იმას, რომ მასწავლებლები ავარჯიშებდნენ მოსწავლეებს საკონტროლო, საკლასო და საშინაო წერით ნამუშავრებში დაშვებული შეცდომების გასწორებაზე;

ე. კლასკაბინეტები შეავსონ ხელსაწყოებითა და რეაქტივებით, შექმნან საჭირო პირობები, რომ პროგრამით გათვალისწინებული ცდები და ლაბორატორიული მუშაობა ტარდებოდეს სისტემატურად;

ვ. მტკიცე მეთვალყურეობა დააწესონ კლასგარეშე კითხვაზე, მკვეთრად აამაღლონ ამ საქმეში სასკოლო ბიბლიოთეკის როლი.

2. ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. მ. კეკელიძე) გააძლიეროს კოხნარის საშუალო სკოლისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, სასწავლო წლის ბოლოს შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 15 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

30 ივნვარი 1965 წ.

დებულება
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალისა

I. ფილიალის მიზანი და ამოცანები

1. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალი წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდურ დაწესებულებას, რომლის მიზანს შეადგენს მასწავლებელთა, სკოლისა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნება და მოწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადება და დანერგვა.

2. ფილიალი ექვემდებარება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს, მუშაობას წარმართავს მათი მითითებების შესაბამისად, მჭიდრო კავშირს ამყარებს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, რომელთა გამოცდილებას იყენებს თავის მუშაობაში.

3. ფილიალის სამუშაო გეგმას ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი.

4. ფილიალი თავისი ამოცანების განსახორციელებლად:

ა) აწყობს მასწავლებელთა, სკოლისა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსებს. მსმენელთათვის ატარებს სასწავლო და საწარმოო ხასიათის ექსკურსიებს, კულტმასობრივ ღონისძიებებს და სხვ.

ბ) ატარებს ლექცია-მოხსენებებს, მეთოდურ სემინარებს, კონსულტაციებს, კურს-სემინარებს როგორც პედაგოგიკა-მეთოდიკის, ასევე მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებზე;

გ) ეხმარება მასწავლებლებსა და განათლების სხვა მუშაკებს

თეორიულ-მეცნიერული ცოდნის დონის ამაღლებისა და მეთოდური დახელოვნების, კინოს, რადიოსა და ტელეხედვის სასწავლო მიზნით გამოყენების საქმეში, „პედაგოგიურ კითხვაში“ მონაწილეობისათვის მოწინავე გამოცდილების განსაზოგადებლად;

დ) აწყობს სკოლებისა და მასწავლებელთა დადებითი გამოცდილების ამაახველ გამოფენებს;

ე) დახმარებას უწევს ქალაქისა და რაიონის პედაგოგიურ კაბინეტებს, იყენებს მოწინავე გამოცდილების სკოლებს პედაგოგიურ-მეთოდური და საწარმოო პრაქტიკის ჩასატარებლად დახელოვნების კურსებზე;

ვ) აწყობს ფილიალის მუშაკთა მივლინებებს მოკავშირე რესპუბლიკების მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებსა და სკოლებში მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და დანერგვის მიზნით (ინსტიტუტის გეგმის შესაბამისად).

II ფილიალის მსმენელები

5. ფილიალის მსმენელებს შეადგენენ:

ა) საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების აღმზრდელები, გამგეები.

ბ) დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებლები, დირექტორების მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში და სკოლების დირექტორები;

გ) სკოლა-ინტერნატების აღმზრდელები, სასწავლო-აღმზრდელობითი ნაწილის გამგეები და დირექტორები;

დ) საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლები, დირექტორების მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში და დირექტორები;

ე) გახანგრძლივებული დღის სკოლების, კლასების, ჯგუფებისა და სასკოლო ინტერნატების აღმზრდელები, დირექტორების მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში და დირექტორები;

ვ) საბავშვო სახლების აღმზრდელები, სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორების მოადგილეები და დირექტორები;

სასკოლო ინსპექტორები, პედაგოგიური კაბინეტების გამგეები, მეთოდისტები და სხვა მუშაკები;

თ) სასკოლო ბიბლიოთეკარები, ლაბორანტები, კინოდემონსტრატორები, სკოლებში მომუშავე ლოგოპედები და სხვ.

6. კურსებზე ყოფნის პერიოდში მსმენელები უზრუნველყოფილი არიან კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომ-

სახურებით (საერთო საცხოვრებელი, რბილი და მაგარი ინვენტარი, ლიტერატურა და სხვ.).

7. მსმენელებს ინსტიტუტიდან ეძლევათ ცნობა კურსების (კურს-სემინარების) მოსმენის შესახებ.

I. ფილიალის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

8. ფილიალის თანამშრომლებად უნდა იყვნენ სკოლის მცოდნე მეცნიერი მუშაკები და უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 10 წლისა და თავი გამოიჩინეს როგორც გამოცდილმა პედაგოგ-მეთოდისტებმა.

9. ფილიალის სასწავლო-მეთოდური მუშაობის ძირითად რგოლს მეთოდკაბინეტი წარმოადგენს. მას ცალკეული სპეციალობის მიხედვით ხელმძღვანელობს გამგე.

10. ფილიალის შემადგენლობაში შედიან საშტატო განრიგით დამტკიცებული მეთოდკაბინეტები, ბიბლიოთეკა, კანცელარია, ბუხჰალტერია, საერთო საცხოვრებელი და სამეურნეო ნაწილი.

11. ფილიალის სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ინსტიტუტის დირექტორის წარდგენით.

12. ფილიალის დირექტორად ინიშნება უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 10 წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟი (ხელმძღვანელ სამუშაოზე).

დირექტორი ხელმძღვანელობს ფილიალის სასწავლო, სამეცნიერო-მეთოდურ და ადმინისტრაციულ-სამეურნეო მუშაობას, ფილიალის სახელით ამყარებს ურთიერთობას სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებთან იმ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება ფილიალის საქმიანობას.

ა) ადგენს ფილიალის მუშაობისა და საკურსო ღონისძიებათა გეგმებს და წარადგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორთან. ამტკიცებს ფილიალის მეთოდური კაბინეტებისა და ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმებს;

ბ) ხელმძღვანელობს ფილიალის საბჭოს მუშაობას;

გ) მეთოდკაბინეტებთან ერთად აწყობს და კონტროლს უწევს დახელოვნების კურსების, სემინარების (კურს-სემინარების) მეთოდური ხასიათის კონფერენციებისა და თათბირების მუშაობას;

უზრუნველყოფს კურსების მსმენელებს საჭირო ლიტერატუ-

რით, თვალსაჩინო-დიდაქტიკური ხელსაწყოებითა და სხვა მასალებით;

დ) აწყობს კაბინეტების გამგეებისა და მეთოდისტების მივლინებებს ქალაქებისა და რაიონების სკოლებში, ხელმძღვანელობს ლექცია-სემინარებისა და კურს-სემინარების ჩატარებას;

ე) უზრუნველყოფს ფილიალის პედაგოგიური გამოფენის მოწყობას, ხელმძღვანელობს კაბინეტების გამგეებისა და მეთოდისტების მიერ შედგენილი მეთოდური წერილების, მონოგრაფიების, წიგნების გამოსაცემად მომზადების საქმეს;

ვ) პასუხისმგებელია მეთოდკაბინეტების მუშაობასა და საკურსო ღონისძიებათა განხორციელებაზე. კონტროლს უწევს სახსრების ხარჯვას, ახორციელებს ფილიალის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების ღონისძიებებს;

ზ) უდგენს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს ანგარიშს ფილიალის მუშაობის შესახებ.

13. ფილიალის ბუხჰალტერს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ინსტიტუტის დირექტორის წარდგენით. დირექტორი ნიშნავს და ათავისუფლებს ფილიალის თანამშრომლებს, დამტკიცებული ნომენკლატურის შესაბამისად.

14. ფილიალის მნეს ევალება სამეურნეო და საყოფაცხოვრებო მუშაობაზე ხელმძღვანელობა, თვალყურის დევნება სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე, ფილიალის ინვენტარის მოვლა-პატრონობაზე, მეთოდკაბინეტების, აუდიტორიებისა და საერთო საცხოვრებლის სამეურნეო მოწყობილობის უზრუნველყოფაზე.

IV. მეთოდკაბინეტები და ლექტორთა შემადგენლობა

15. ფილიალის მეთოდკაბინეტს ხელმძღვანელობს კაბინეტის გამგე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ინსტიტუტის დირექტორის წარდგენით.

კაბინეტის გამგეს უნდა ჰქონდეს უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 10 წლისა.

16. კაბინეტის მეთოდისტს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ინსტიტუტის დირექტორის წარდგენით.

კაბინეტის მეთოდისტს უნდა ჰქონდეს უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 10 წლისა.

17. მეთოდური კაბინეტის მოვალეობას შეადგენს:

ა) შემოიკრიბოს აქტივი და უხელმძღვანელოს მის მუშაობას, უზრუნველყოს მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნების საჭირო ღონისძიებების განხორციელება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებათა შესაბამისად;

ბ) წარმართოს სასწავლო მუშაობა კაბინეტის მეთოდისტებისა და მოწვეულ ლექტორ-მასწავლებელთა ძალებით დახელოვნების კურსებზე, სემინარებზე, გაუწიოს კონტროლი და ხელმძღვანელობა მათ მუშაობას;

გ) შეისწავლოს მოწინავე პედაგოგიური გამოცდილება, მისი განზოგადებისა და მუშაობაში დანერგვის მიზნით, მოაწყოს ამ მიმართულებით გატარებულ ღონისძიებათა ამსახველი თემატიკური გამოფენები;

დ) გაუწიოს დახმარება ქალაქისა და რაიონის პედკაბინეტებს მეთოდური მუშაობის ჩასატარებლად. ადგილზე შეისწავლოს ცალკეული საგნების მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა საქმიანობა, მოაწყოს მათთვის ლექციები, სემინარები, კონსულტაციები, უზრუნველყოს „პედაგოგიურ კითხვაში“ ჩაბმულთა დახმარება;

ე) უხელმძღვანელოს ფილიალის ბიბლიოთეკის მუშაობას სპეციალობის მიხედვით.

18. ყოველ კაბინეტს აქვს საკუთარი სასწავლო-მატერიალური ბაზა და მიჩნეული ადგილი მუდმივმოქმედ პედაგოგიურ გამოფენაზე, რომელსაც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და მისი ფილიალები აწყობენ.

19. ფილიალი სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობაში ლექტორებად იყენებს როგორც შტატის მუშაკებს, ასევე უმაღლეს სასწავლებელთა ლექტორებს, მოწინავე მასწავლებლებს, საშუალო სკოლების დირექტორებს, დირექტორების მოადგილეებს სასწავლო მუშაობის დარგში.

20. ფილიალი მთელ საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და საინსტრუქციო-მეთოდურ მითითებათა საფუძველზე.

V. ფილიალის ბიბლიოთეკა

21. ფილიალთან არსებობს ბიბლიოთეკა, რომელიც ყოველწლიურად შეივსება პოლიტიკური, მხატვრული, მეთოდური, პედაგოგიური, პოლიტექნიკური, სპეციალური ლიტერატურითა და სასწავლო-მეცნიერული ცნობარებით.

ფილიალის ბიბლიოთეკა:

ა) მომსახურეობას უწევს ფილიალის მუშაკებს, მასწავლებლებს და დახელოვნების კურსების მსმენელებს წიგნებით, სახელმძღვანელოებით, ჟურნალ-გაზეთებით;

ბ) აწყობს მოძრავ ბიბლიოთეკებს, თემატიკურ გამოფენებს, მეთოდკაბინეტებთან ერთად ადგენს ბიბლიოგრაფიულ ცნობარებს ცალკეულ თემებსა და საკითხებზე.

22. ფილიალის ბიბლიოთეკარს ნიშნავს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი ფილიალის დირექტორის წარდგინებით.

ბიბლიოთეკარს უნდა ჰქონდეს სპეციალური უმაღლესი განათლება.

VI ფილიალის საბჭო

23. ფილიალის დირექტორთან სათათბირო ორგანოს უფლებით, იქმნება ფილიალის საბჭო.

24. ფილიალის საბჭოს შემადგენლობაში შედიან ფილიალის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე), მეთოდკაბინეტების გამგეები და ცალკეული მეთოდისტები, პარტიული, პროფესიული, კომკავშირული ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების, ადგილობრივი სახალხო განათლების განყოფილებებისა და სკოლის მუშაკები.

ფილიალის საბჭოს ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი.

25. ფილიალის საბჭო განიხილავს:

ა) მეთოდკაბინეტების სამუშაო გეგმებსა და ანგარიშებს;

ბ) სასწავლო-მეთოდური და სამეურნეო საქმიანობის ძირითად საკითხებს.

VII. ფილიალის ქონება და სახსრები

26. ფილიალის მთელი ქონება—შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა, ინვენტარი სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს. საინვენტარო აღწერაში შეტანილი და ბალანსზე რიცხული ქონება არ შეიძლება გასხვისებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების მინისტრისა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის ბრძანების გარეშე.

27. ფილიალის ქონების დაცვის პასუხისმგებლობა დირექტორს ეკისრება.

28. ფილიალი არის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულება, მისი სახსრები სახელმწიფო ასიგნობისაგან შედგება.

VIII. ფილიალის უფლებები და უწყებრივი დაქვემდებარება

29. ფილიალი შედის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის გამგებლობაში და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

30. ფილიალი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით და აქვს თავისი ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

31. ფილიალს აქვს შტამპი და ბეჭედი სახელმწიფო ღერბის გამოხატულებითა და თავისი სახელწოდების წარწერით.

32. ფილიალის ლიკვიდაცია ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 4 თებერვლის ბრძანება № 109

კოჯრის სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ კოჯრის სკოლა-ინტერნატში, მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, კვლავ აქვს ადგილი სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს.

მოთხოვნილების სიმაღლეზე არ დგას სასწავლო-საალმზრდელო მუშაობა. მეორე მეოთხედის ბოლოს 340 შეფასებულ მოსწავლიდან ასწრებდა 304 მოსწავლე; სკოლა-ინტერნატს ჰყავს მხოლოდ 13 ხუთოსანი და 58 ოთხოსანი მოსწავლე. მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრება ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი გაკვეთილი ტარდება თვალსაჩინოების გარეშე; ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის კაბინეტები უზრუნველყოფილი არაა თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით. ზოგიერთი მასწავლებელი გაკვეთილის ჩატარების დროს არ იყენებს სკოლა-ინტერნატის ცხოვრების ამსახველ მასალებს და ატარებს ტრაფარეტული ხასიათის გაკვეთილებს.

სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის დარგში და უფროსი აღმზრდელი არ უწევენ საკმაო მეთოდურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას მასწავლებლებსა და აღმზრდელებს. სკოლა-ინტერნატის დირექციის სამუშაო გეგმაში გამოტოვებულია საგნობრივი წრეების, საშეფო ორგანიზაციის, ესთეტიკური და შრომითი აღზრდის საკითხები. ასევე მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები არაა ასახული პედაგოგიური საბჭოსა და აღმზრდელების სამუშაო გეგმებში.

სუსტადაა გაშლილი კულტმასობრივი მუშაობა. არ ეწყობა ექსკურსიები, იშვიათად ხდება მოწინავე ადამიანებთან შეხვედრები. არაა დანერგილი ლიტერატურული დილა-საღამოებისა და კითხვა-პასუხების მოწყობის პრაქტიკა. არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მეთოდური მუშაობა.

სკოლა-ინტერნატი არც მატერიალურ-ტექნიკური მხრივ არის სათანადოდ მოწყობილი; სამზარეულო შეუკეთებელია და მომსახურე პერსონალს არანორმალურ პირობებში უხდება მუშაობა. „კურორტვაჭრობაზე“ კვების ბლოკის გადაცემის შემდეგ აღსაზრდელთა კვების საქმე მკვეთრადაა გაუარესებული. სკოლა-ინტერნატის ეზოს შეღობვა არაა დამთავრებული. აღსაზრდელთა ჩაცმა-დახურ-

ვის საქმე არაა მოწესრიგებული; აღსაზრდელთა ერთ ნაწილს არა აქვს საზამთრო ტანსაცმელი და ქუდები, ხოლო პირველ და მეორე კლასის მოსწავლეებს აცვია მოურგებელი ტანსაცმელი. ლოგინის მოწყობილობა მოძველებულია, საბნების ერთ ნაწილს გამოსაკრავი სრულებით არ აქვს, ნაწილს კი ძალზე ძველი, ჩამოსაწერი გამოსაკრავები აქვს. პატარა ბავშვების საწოლები შეუკეთებელია, ჩაწყვეტილ ბადეებზე გადასაფარებლების გარეშე დაფენილია თხელი ლეიბები; ამ საწოლებზე ბავშვების ნორმალური ძილი შეუძლებელია. ექიმის სამუშაო ოთახი და იზოლატორი სხვადასხვა კორპუსებშია მოთავსებული; იზოლატორი დღისით არ თბება და იქ მოთავსებული აღსაზრდელები სიცივეში, უმეთვალყურეოდ არიან მიტოვებული; ექიმის სამუშაო ოთახსა და სათავსოებში ანტისანიტარული მდგომარეობაა. ინტერნატში ადგილი ჰქონდა მუნის გაჩენის შემთხვევებს.

სრულ უმოქმედობას იჩენს ინტერნატის მზრუნველთა საბჭო და საშეფო ორგანიზაცია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მკაცრად იქნეს გაფრთხილებული კოჯრის სკოლა-ინტერნატის დირექტორი ამხ. გ. ქვრივიშვილი, რომ თუ უახლოეს დროში არ გამოასწორებს ამ ბრძანებასა და ნარკვევ მასალებში დასახელებულ ნაკლოვანებებს, იგი მოხსნილი იქნება თანამდებობიდან.

2. გარდაბნის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. გ. რაზმაძემ მ/წლის მარტის მეორე ნახევარში შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და 1 აპრილამდე მომახსენოს შედეგების შესახებ.

3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ, საგეგმო-საფინანსო, მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოსთან და კაპიტალური მშენებლობის განყოფილებასთან ერთად მ/წლის 15 თებერვლამდე წარმომიდგინოს კოჯრის სკოლა-ინტერნატის მატერიალური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 29 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 4 თებერვლის ბრძანება № 110

ნორიოს საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით გამოირკვა, რომ გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" 1965 წლის 21 იანვრის № 9/617-ში გამოქვეყნებული კორესპოდენცია: „По ком звонят колокола", რომელიც ეხებოდა ნორიოს საბავშვო სახლს, ძირითადად დადასტურდა.

საბავშვო სახლის თანამშრომელთა შორის არაჯანსაღი ურთიერთობაა, ადგილი აქვს აღმზრდელ-მასწავლებლების მიერ სამუშაო საათების გაცდენის შემთხვევებს. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს პირველი კლასის მასწავლებელი არიფევი; თანამშრომელთა ერთი ნაწილი უხეშად ეპყრობა აღსაზრდელებს. ჩაშლილია პიონერული მუშაობა; უფროსი პიონერ-ხელმძღვანელი ე. ვამლეტის მუშაობა განისაზღვრება მოძრავ-თამაშობათა ჩატარებით, მოუგვარებელია აღსაზრდელთა გართობა-დასვენების საქმე, არ ეწყობა პიონერული რაზმების შეკრებები და ლაშქრობები.

მოუწესრიგებელია პროდუქტების საწყობის მუშაობა (მეკუჭნავე ბ. ხერხეულიძე). საწყობის შემოწმებისას ადგილი ჰქონდა პროდუქტების ზედმეტობისა და ნაკლებობის ფაქტებს. მეკუჭნავე ბ. ხერხეულიძეს შეთავსებული აქვს დამლაგებლის თანამდებობა. ინტერნატს აკლია აუცილებელი დგამ-ავეჯი, რაც აქვს ისიც ძალზე მოძველებულია.

დარღვეულია სანიტარული რეჟიმი, უსუფთაობას აქვს ადგილი ექიმის კაბინეტსა და იზოლატორშიც კი, მედიკამენტები არ ინახება ჰიგიენური წესების დაცვით, ყველა აღსაზრდელს არ აქვს ინდივიდუალური პირსახოცი, საწოლებისა და ნალების უმრავლესობა შესაცვლელია; სუსტია სამედიცინო მომსახურება.

უყურადღებოდაა მიტოვებული აღსაზრდელთა შრომითი აღზრდა, გოგონებისათვის არ არსებობს არავითარი სახელოსნო, აღსაზრდელები არ არიან ჩაბმული საყოფაცხოვრებო-სამეურნეო შრომაში.

საბავშვო სახლთან არსებული დამხმარე მეურნეობაში 1964 წელს წველადობის აღრიცხვა ხდებოდა საკონტროლო აქტების გაუფორმებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ნორიოს საბავშვო სახლის დირექტორი პ. სალუქვაძე მუშაობაში სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებისა და დარღვევების დაშვებისათვის განთავისუფლდეს თანამდებობიდან.

2. საბავშვო სახლის ბუხჰალტერს ა. ბალავაძეს საბუხჰალტრო აღრიცხვის მოუწესრიგებლობისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და მასვე დაევალოს 1 თვის ვადაში წესრიგში მოიყვანოს საბუხჰალტრო საქმეები.

3. დაევალოს საბავშვო სახლის დირექციას:

ა) გაათავისუფლოს სამუშაოდან მეკუჭნავე ბ. ხერხეულიძე, რომელიც ვერ იმსახურებს ნდობას, როგორც მატერიალურად პ/მგებელი პირი, დააფარვინოს მას შემოწმების შედეგად გამოვლინებული დანაკლისი და შემოსავალში აიღოს ზედმეტად აღმოჩენილი პროდუქტები;

ბ) გააძლიეროს პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა, დანერგოს აღსაზრდელებში შეგნებული დისციპლინა, განამტკიცოს ჯანსაღი ურთიერთობა საბავშვო სახლის თანამშრომლებს შორის;

გ) სისტემატურად მოაწყოს ექსკურსიები, ლექცია-საუბრები, რადიოსა, ტელეგადაცემებისა და კინოსურათების ჩვენება;

დ) უზრუნველყოს საბავშვო სახლი აუცილებელი რბილი და მაგარი ინვენტარით;

ე) მტკიცე კონტროლი დააწესოს სასაწყობო მეურნეობისა და ბუხჰალტრის მუშაობაზე, მოაგვაროს ანგარიშგება-აღრიცხვის საქმე;

ვ) დამხმარე მეურნეობაში სათანადო სიმაღლეზე დააყენოს აღრიცხვიანობა;

ზ) უზრუნველყოს სისუფთავის დაცვა და აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება.

4. საბავშვო სახლის უფროს პიონერხელმძღვანელმა ე. ვამლეტმა არსებითად გარდაქმნას პიონერული მუშაობა და გაამრავალფეროვანოს იგი, მოაწყოს პიონერთა ოთახში სხვადასხვა თემატიკური სტენდები, აღსაზრდელთა მონაწილეობით შეადგინოს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოალბომი და სხვ.

5. დაევალოს გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. გ. რაზმაძეს უზრუნველყოს ნორიოს საბავშო სახლი

კვალიფიციური აღმზრდელ-მასწავლებელთა კადრებით და მეტი დახმარება და კონტროლი გაუწიოს საბავშვო სახლის საქმიანობას.

6. ეთხოვოს საქართველოს ალკკ გარდაბნის რაიკომს საჭირო ნადო დახმარება აღმოუჩინოს ნორიოს საბავშვო სახლის პიონერულ ორგანიზაციას.

7. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსმა ამხ. ვ. ჩინჩალაძემ ამ ბრძანების შესრულებაზე დააწესოს მტკიცე კონტროლი.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 29 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 4 თებერვლის ბრძანება № 111

მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა პატრონირების, გაშვილებისა და მეურვეობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა პატრონირების, გაშვილებისა და მეურვეობის საქმეს ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი.

ჯერ კიდევ სათანადოდ არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 26 დეკემბრის დადგენილება ბავშვთა და მოზარდთა უზედამხედველობისა და არასრულწლოვანთა შორის დანაშაულების აღმოფხვრის შესახებ, აგრეთვე ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების კანონის ის მუხლები, რაც საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებას ეხება.

სკოლების ხელმძღვანელები ხშირად არ არიან დაინტერესებული იმით, თუ როგორ ცხოვრობენ და რას აკეთებენ მოსწავლეები არასასწავლო დროს, სუსტად ზრუნავენ სკოლასჩამოცილებულ ბავშვთა ჩაბმაზე სწავლებაში. სკოლის გარეშე მუშაობით ნაკლები დაინტერესების შედეგად სათანადოდ არ იყენებენ კლუბებს, კულტურის სახლებს, მუზეუმებს, ბიბლიოთეკებსა და სპორტულ ბაზებს, ხშირად ბავშვთა გართობა-დასვენება არ ატარებს ორგანიზებულ ხასიათს.

იმის შედეგად, რომ ზოგიერთი მშობელი უპასუხისმგებლოდ ეკიდება ბავშვების აღზრდას, ბევრი მოზარდი ცუდი გავლენის ქვეშ ექცევა და დანაშაულობის გზას ადგება. ასეთი ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით განათლების ორგანოები სათანადოდ ვერ იყენებენ მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა კოლექტივებს, საზოგადოებრივ აზრსა და მისი ზეგავლენის ღონისძიებებს.

განათლების ორგანოები სუსტად ეხმარებიან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსე-

ბულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას, მილიციის განყოფილებებს, პროკურატურასა და სასამართლოს იმ მიზეზების გამოვლინებაში, რაც ხელს უწყობს არასრულწლოვანთა მიერ ისეთი დანაშაულის ჩადენას, რომლის გამო პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული მოზრდილები, რომლებიც ცუდ გზაზე აყენებენ ბავშვებს. ამავე დროს განათლების ორგანოები ნაკლებად ზრუნავენ, რათა დაიხმარონ არასრულწლოვანთა საქმეების კომისია, მილიციის განყოფილება, სასამართლო და პროკურატურა .წარმოება-დაწესებულებებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მოზრდილთა შრომითი მოწყობისა და სკოლიდან მოსწავლეთა განთესვის თავიდან აცილების საქმეში.

არასრულწლოვანთა დანაშაულებრიობის წინააღმდეგ ბრძოლა და ბავშვთა უზედამხედველობის აღმოფხვრა დიდი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა. მისი წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული, სამეურნეო, ადმინისტრაციული ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სკოლისა და ოჯახის ერთობლივ, მუდმივ ყურადღებასა და ზრუნავს, რაც ჯერჯერობით სათანადოდ არ ხორციელდება.

ყვარლის რაიონის მილიციასთან არ არის ბავშვთა ოთახი, ყვარლის რაიონში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის (ქურდობა, სპეკულაცია, ხულიგნობა და სხვ.) პროცენტი დიდია, ასევე დიდი რაოდენობით არიან ჩამოცილებული მოზარდები სკოლებს. მშრომელთა დეპუტატების ყვარლის რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის მიერ 1964 წლის 10 ნოემბრამდე განხილულია დანაშაულის ჩამდენი 16 ბავშვის საქმე. შრომითს კოლონიაში გაგზავნილია 2 ბავშვი, პატრონატზეა აყვანილი 3, გაშვილებულია 11, საბავშვო სახლებში მოწყობილია 10 ბავშვი. 1964—65 სასწავლო წელს გეგმით რაიონის სკოლებში უნდა ყოფილიყო 19385 მოსწავლე, ფაქტიურად ჩაბმულია 18891 მოსწავლე, აკლიათ 494. I—IV კლასებში—107, V—VIII კლასებში—245 და IX—XI კლასებში 142 მოსწავლე. გასულ სასწავლო წელს რაიონის სკოლებს ჩამოსცილდა 800 ბავშვი, რომელთა შორის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დახმარებით სკოლას დაუბრუნდა 300 ბავშვი.

ყვარლის რაიონში არ ტარდება იმ მოზარდების საქმიანობის შემოწმება, რომლებიც კოლონიებიდან თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდნენ. ნაკლები ყურადღება ექცევა საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა წარმოებებში მომუშავე არასრულწლოვანთა საყოფაცხოვრებო პირო-

ბების, მათი შრომის ანაზღაურების საკითხების შესწავლას. ზოგიერთი ანალოგიური ნაკლოვანებები ახასიათებს უმშობლებოდ და უზედამხედველოდ დარჩენილ ბავშვთა მოწყობის საქმეს ქ. ქუთაისში, თელავის, სამტრედიის, წულუკიძის და ქ. თბილისის ორჯონიკიძისა და ოქტომბრის რაიონებში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის, თელავის, სამტრედიის, ყვარლისა და წულუკიძის რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) გულმოდგინედ შეისწავლონ ბავშვთა და მოზარდთა უზედამხედველობის მიზეზები და მიიღონ გადამჭრელი ზომები მათი თავიდან აცილებისათვის, ამავე დროს აქტიურად ჩაებან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის მუშაობაში და საჭირო დახმარება გაუწიონ მას მიღებულ დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად;

ბ) დაეხმარონ მილიციასთან არსებულ ბავშვთა ოთახის სათანადოდ მოწყობა-გაფორმებაში, პედაგოგიური და აღმზრდელობითი თვალსაზრისით საჭირო მუშაობის წარმართვაში;

გ) მიიზიდონ რაიონის, ქალაქის აქტივი, საშეფო ორგანიზაციები საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებისათვის, მეორეწლიანობისა და მოსწავლეთა განთესვის ლიკვიდაციისათვის, ჯეროვან სიმაღლეზე დააყენონ მშობელთა კომიტეტების მუშაობა სკოლებში; მიიღონ ზომები გახანგრძლივებული დღის ჯგუფების შესაქმნელად.

დ) სისტემატურად შეისწავლონ მოზარდთა შრომის პირობები და დახმარება გაუწიონ მათ;

ე) გაამახვილონ კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების ყურადღება ბავშვთა სწავლა-აღზრდის საკითხებზე;

ვ) სისტემატურად შეისწავლონ პატრონირებულ, გაშვილებულ და მეურვეობაზე მყოფ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობები, იზრუნონ ამ პირობების გაუმჯობესებისათვის და საჭირო ზომები მიიღონ იმ მშვილებელთა, მეურვეთა და პატრონატზე ამყვან პირთა მიმართ, რომლებიც ნაკლებად ზრუნავენ ბავშვთა სწავლა-აღზრდაზე, არ იცავენ მათ უფლებებსა და ქონებას, ცუდად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

ზ) სახეზე იქონიონ გაშვილებულ, პატრონატზე და მეურვეობაზე მყოფ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლისა და გატარებულ ღონისძიებათა დამადასტურებელი მასალები, სათანადოდ შეავსონ და სრულ წესრიგში იქონიონ ამ ბავშვთა საქმეები.

თ) მიმდინარე წლის 15 მაისამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წერილობითი მოხსენება ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქ. სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 29 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 4 თებერვლის ბრძანება № 112

გეგეჭკორის საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის„ 1965 წლის 21 იანვრის № 9 /6171/-ში გამოქვეყნებული წერილის „ბავშვებს უბნელებენ მზეს“ და მოქალაქეების ვ. ა. კისელიოვასა და ვ. მუჯირიშვილის საჩივრების ადგილზე შემოწმებით დადასტურდა, რომ გეგეჭკორის საბავშვო სახლის მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, დარღვევებსა და ცალკეულ შემთხვევებში დანაშაულებრივ ქმედების ფაქტებს. სუსტადაა დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა; სახლს დიდი რაოდენობით აკლია სახელმძღვანელოები; აღსაზრდელთა შორის დისციპლინა არ დგას მოწოდების სიმაღლეზე; ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა დღის რეჟიმის დაცვას; აღსაზრდელთა ერთი ნაწილი თავის ნებაზე ტოვებს სახლს და უმეთვალყუროდ დადის საზოგადოების თავშეყრის ადგილებში; რუსული ენის უცოდინარობის გამო აღმზრდელები ვერ ატარებენ აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს. სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება პიონერთა შორის მუშაობა; ხანგამოშვებით ტარდება რაზმისა და რაზმეულების შეკრებები, პიონერები არ ატარებენ ყელსახვევს, ოქტომბრელთა შორის მუშაობა ჩაშლილია, საბავშვო სახლის აღმზრდელებსა და სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს შორის არაა დამყარებული მჭიდრო კავშირი.

აღმზრდელი ვ. თომხუა უხეშად ეპყრობა აღსაზრდელებს; გეგეჭკორის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელმა თ. ლევიძემ 1964 წლის 11 ნოემბერს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა საბავშვო სახლის აღსაზრდელს ა. მარტიროსიანს, გაკვეთილზე ესროლა პენალი, რის გამოც აღსაზრდელი ა. მარტიროსიანი 9 დღის განმავლობაში საავადმყოფოში იწვა.

საბავშვო სახლში არაა დაცული აუცილებელი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, საძინებელი, საკლასო ოთახები, აგრეთვე ეზო-

კარმიდამო ჭუჭყიანი და მოუვლელია. ზოგიერთი აღსაზრდელი ხელ-პირ დაუბანელი, მოურგებელი ტანსაცმელ-ფეხსაცმელით დაიარება.

საბავშვო სახლის შენობას 1964 წელს ჩაუტარდა რემონტი, რაზედაც დაიხარჯა 5000 მანეთი, მიუხედავად ამისა შენობის სახურავიდან წყალი ჩამოდის, იატაკი ალაგალაგ ამონგრეულია, კარ-ფანჯრები არ იკეტება. საბავშვო სახლს არ გააჩნია სათბობის მარაგი. სამზარეულო და სამრეცხაო კეთილმოუწყობელია. სახლი არაა უზრუნველყოფილი საჭირო რაოდენობის სასმელი და სამეურნეო წყლით, ეზო შეუღობავია.

აღსაზრდელები არ მარაგდებიან ნორმით დაწესებული კვების პროდუქტებით. 1964 წლის განმავლობაში ნორმასთან შედარებით დააკლდათ 8237 კგ კარტოფილი, 14305 ცალი კვერცხი, 5555 კგ ახალი ხილი, 2137 კგ ბოსტნეული, 1171 კგ თევზი, 1778 ლიტრი რძე, 909 კგ ყველი და სხვ. ამის შედეგად აღსაზრდელებს ხშირად ეძლევათ ერთფეროვანი და უგემური კერძები. სამზარეულო არაა აღჭურვილი საჭირო დანადგარებით; ექიმის კაბინეტი გამოყენებულია იზოლატორად; სახლს არა აქვს ისეთი აუცილებელი ინვენტარი, როგორიცაა სამედიცინო სასწორი, სიმაღლის საზომი და სხვ. სრულიად არ თბება საძინებელი ოთახები, აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არ არიან ნორმით კუთვნილი რბილი და მაგარი ინვენტარით და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საბავშვო სახლის დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებელი ს. ესიავა, რომელმაც ვერ გაართვა თავი მუშაობას განთავისუფლდეს თანამდებობიდან.

2. მიღებული იქნეს ცნობად, რომ საბავშვო სახლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში გ. გვალიას, პირველი საშუალო სკოლის დირექტორს ე. ხაჟომიას და მის მოადგილეს შ. გაბისონიას რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ დადებული აქვთ სასჯელი.

3. დაევალოს გეგეჭკორის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. შ. ცანავას:

ა) სათანადო წესის დაცვით წარმოადგინოს წინადადება გეგეჭკორის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელ თ. ლევიძის მოხსნისა და პასუხისგებაში მიცემის შესახებ საბავშვო სახლის აღსაზრდელ V კლასის მოსწავლე ვ. მარტიროსიანის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის;

ბ) აღსაზრდელებისადმი უხეში მოპყრობისათვის სათანადო წე-

სების დაცვით გაათავისუფლოს საბავშვო სახლის აღმზრდელი ვ. თომხუა.

4. დაევალოს საბავშვო სახლის დირექტორს:

ა) გააძლიეროს კონტროლი და დახმარება აღმზრდელებზე, მიაღწიოს აღსაზრდელთა შორის, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას, ფართოდ გაშალოს კლასგარეშე მუშაობა, უზრუნველყოს აღსაზრდელები სასწავლო სახელმძღვანელოებით, მიაღწიოს იმას, რომ აღსაზრდელები გულდასმით ამზადებდნენ გაკვეთილებს;

ბ) მტკიცე კავშირი დაამყაროს სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან, ერთობლივად განიხილოს მათთან აღსაზრდელთა სწავლასთან დაკავშირებული საკითხები და მათ გამოსასწორებლად დასახოს ქმედითი ღონისძიებანი;

გ) გააძლიეროს პიონერთა და ოქტომბრელთა შორის მუშაობა, პიონერთა ოთახი უზრუნველყოს საჭირო ინვენტარით, გაშალოს წრეობრივი მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ფიზკულტურულ მუშაობას, მოაწყოს სპორტული მოედნები;

დ) ყურადღების ცენტრში დააყენოს აღსაზრდელთა პირადი ჰიგიენის დაცვა, გააძლიეროს მომთხოვნელობა სახლის მუშაკებისადმი დავალებული სამუშაოს შესრულებაზე;

ვ) აღსაზრდელები ჩააბას შრომით საქმიანობაში, მოაწყოს ფეხსაცმლის სახელოსნო და სამკერვალო, ამ საქმეში ფართოდ ჩააბას საშეფო ორგანიზაციები; უზრუნველყოს ეზოს შემოღობვა და გამწვანება; დააყენოს საკითხი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ;

5. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (უფროსი ს. არველაძე) გეგეჭკორის საბავშვო სახლს გამოუყოს საჭირო რაოდენობით სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები, რბილი და მაგარი ინვენტარი და მავთულბადე ეზოს შემოსაღობად.

6. დაევალოს კადრების განყოფილებას (უფროსი ი. კვაჭაძე) სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლოს გეგეჭკორის საბავშვო სახლის კადრების შემადგენლობა და დააკომპლექტოს იგი რუსული ენის მცოდნე კვალიფიციური მუშაკებით.

7. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშო სახლების სამმართველომ დააწესოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 29 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის
მინისტრი
ლ. საყვარელიძე

1965 წლის 9 თებერვალი

პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის წესები მოსწავლეთათვის

დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები ვალდებულნი არიან:

1. მტკიცედ დაიცვან სკოლაში დაწესებული დღის განრიგი (რეჟიმი); ყოველდღე ერთსა და იმავე დროს მიიღონ საჭმელი, მოამზადონ გაკვეთილები, დაისვენონ, ითამაშონ, დაიძინონ (ცალკე ლოგინში) და დილით ადრე ადგნენ.

2. დაემორჩილონ დირექციისა და მასწავლებელთა განკარგულებებს, ანგარიში გაუწიონ მოსწავლეთა კოლექტივის აზრს და შეასრულონ სასკოლო ორგანიზაციების მითითებანი პირადი ჰიგიენისა და სკოლაში სანიმუშო სანიტარული წესრიგის დაცვისათვის.

3. სუფთად და წესიერად ჩაცმულნი გამოცხადნენ სკოლაში, დაიცვან სისუფთავე სასკოლო ოთახებში, დერეფნებში, ოჯახში, ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

4. წესრიგში იქონიონ თავისი სამუშაო ადგილი სკოლასა და ოჯახში, ზუსტად დაიცვან მერხზე ჯდომის წესები.

5. დაიცვან პირადი ჰიგიენის წესები: დაიბანონ ხელპირი დილა-საღამოს და ჭამის წინ. გაიწმინდონ კბილები ჯაგრისით და დაიბანონ ფეხები ძილის წინ, დაიცვან მოსწავლეთათვის შესაფერისი თმის ვარცხნილობა.

6. კვირაში ერთხელ დაიბანონ ტანი და გამოიცვალონ თეთრეული, სისტემატურად დაიჭრან ფრჩხილები, ყოველდღიურად გამოიცვალონ ცხვირსახოცი, იქონიონ პირსახოცი პირადი ხმარებისათვის.

7. ყოველდღიურად ჩაატარონ დილის ტანვარჯიში, ორგანიზმის გაკაჟების მიზნით ფართოდ გამოიყენონ ბუნებრივი ფაქტორები (მზე, ჰაერი, წყალი).

8. შეისწავლონ ადამიანის ორგანიზმი და მისი მოვლის წესები, როგორ დაიცვან თავი გადამდები სნეულებისაგან, როგორ ჩაიცვან წლის სხვადასხვა დროს, როგორ იმუშაონ სასკოლო სახელოსნოებსა და საწარმოში სუფთა სპეცტანსაცმლით.

9. შეისწავლონ და შესძლონ პირველადი დახმარების გაწევა დაჟეჟილობის, ჭრილობების, სისხლის დენის, სიდამწვრის, მოწამვლის, ძვლის მოტეხილობის, მზის დაკვრის, გულის წასვლის და სხვა შემთხვევაში.

10. სკოლის მიერ დადგენილ ვადებში ჩააბარონ „იმსთ“ და „მსთ“ ნორმები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 11 თებერვლის ბრძანება № 125

ვაქვეყნებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1965 წლის 2 თებერვალს დამტკიცებულ „დებულებას არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შესახებ“ სახელმძღვანელოდ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების ამოცანები და მათი ორგანიზაციის წესი

მუხლი 1. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მთავარი ამოცანაა არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობისა და მართლწესრიგის დარღვევის თავიდან აცილება; არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელება, ბავშვთა და მოზარდთა მოწყობა და მათი უფლებათა დაცვა; აგრეთვე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება ბავშვთა და მოზარდთა დაწესებულებების საქმიანობაზე.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები იქმნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან.

მუხლი 2. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ, საქალაქო, ქ. თბილისის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კომისიებს ქმნიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და მათ შემადგენლობას ამტკიცებს შესაბამისი საბჭო მისი რწმუნების ვადით.

არასრულწლოვანთა საქმეების საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ რესპუბლიკურ კომისიებს ქმნიან შესაბამისი მინისტრთა საბჭოები და მათ შემადგენლობას ამტკიცებს ამ რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმები მათი რწმუნების ვადით.

კომისიები მოქმედებენ კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და წევრების შემადგენლობით.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები მთელ თავიანთ საქმიანობაში პასუხს აგებენ და ანგარიშვალდებული არიან შესაბამისი

საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე.

მუხლი 3. არასრულწოვანთა საქმეების კომისიები იქმნება საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობის საფუძველზე— საბჭოების დეპუტატების, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაწესებულებების მუშაკთა შემადგენლობით.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები მთელ თავიანთი მუშაობაში ეყრდნობიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივ კომისიებს, პროფკავშირების საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს, კომკავშირულ ორგანიზაციებს, სკოლებთან არსებულ მშობელთა კომიტეტებს, საბავშვო სახლების და სკოლა-ინტერნატების მზრუნველთა საბჭოებს, ნებაყოფლობით სახალხო რაზმებს, სახლმმართველობებთან არსებულ ხელისშემწყობ კომისიებს, ქუჩის და სახლების კომიტეტებს, აგრეთვე სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებებს.

კომისიები არასრულწლოვანთა შორის მუშაობისათვის თავისი შემადგენლობიდან, აგრეთვე კომისიების მუშაობაში ჩაბმული აქტივის რიცხვიდან, გამოყოფენ საზოგადოებრივ ინსპექტორებს.

კომისიები სისტემატურად აწვდიან ცნობებს თავიანთი მუშაობის შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მშრომელთა კოლექტივებს.

მუხლი 4. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად, ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით, ავლენენ ბავშვებსა და მოზარდებს, რომლებსაც ესაჭიროებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დახმარება, აგრეთვე მოზარდებს, რომლებმაც სკოლა მიატოვეს და არ მუშაობენ, და ღებულობენ ზომებს მათი შრომითი მოწყობისათვის, ან მათ გასაგზავნად სასწავლებლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში, აგრეთვე ღებულობენ სხვა ზომებს, რათა დახმარება გაეწიოთ მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს ბავშვების აღზრდაში.

მუხლი 5. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები ახორციელებენ მეთვალყურეობას არასრულწლოვანთა ყოფა-ქცევაზე მათი საბავშვო და მოზარდთა სპეციალური აღმ-

ზრდელობითი და სამკურნალო-აღმზრდელობითი დაწესებულებებიდან დაბრუნების შემდეგ, არასრულწლოვანთა შრომით კოლონიებში სასჯელის მოხდის შემდეგ, აგრეთვე არასრულწლოვანთა ყოფაქცევაზე, რომლებიც მსჯავრდებული არიან ისეთი სასჯელით, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, პირობით მსჯავრდებულებისა და სასჯელის მოხდისაგან ვადამდე განთავისუფლებულთა მიმართ.

კომისიები ღებულობენ ზომებს ამ მუხლში აღნიშნულ პირთა შრომითი მოწყობისა და სასწავლებელში გაგზავნისათვის.

კომისიებს უფლება აქვთ წარდგინებით შევიდნენ სასამართლოში: სასჯელის არ შეფარდების შესახებ; უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდების შესახებ: პირობით მსჯავრის დადების შესახებ; არასრულწლოვანთათვის ნასამართლობის ვადამდე მოხსნის შესახებ; არასრულწლოვანის სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ იმ პირობების დაცვით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 55 და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 375 მუხლებით.

მუხლი 6. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი არასრულწლოვანთათვის დაწესებული მუშაობის რეჟიმისა და პირობების დაცვასა და მათთვის აუცილებელი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ადმინისტრაციის მიერ.

ადმინისტრაციის ინიციატივით იმ პირთა დათხოვნა, რომელთაც 18 წელი არ შესრულებიათ, შეიძლება მოხდეს მხოლოდ დათხოვნის შესახებ საერთო წესის დაცვით და არასრულწოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიასთან შეთანხმებით.

არასრულწლოვანის დათხოვნაზე თანხმობის მიცემის შემთხვევებში კომისია ღებულობს ზომებს მისი შრომითი მოწყობისათვის.

სასწავლებლიდან არასრულწლოვანის გარიცხვის საკითხი გადაწყდება ადმინისტრაციის მიერ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის წარმომადგენლის მონაწილეობით, ხოლო სკოლიდან გარიცხვის საკითხი—ასევე, და სახალხო განათლების ორგანოების წარმომადგენლის მონაწილეობით.

მუხლი 7. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები ახორციელებენ საზოგადოებრივ კონტროლს მოცემული რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე არსებულ ბავშვთა და მოზარდა სპეციალური აღმზრდელობითი და სამკურნალო-აღმზრდე-

ლობითი დაწესებულებების, არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიების, მილიციის ბავშვთა ოთახებისა და ბავშვთა მიმღებ-განმანაწილებლების, საბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და აგრეთვე სამეურნეო და მზრუნველთა ორგანოების საქმიანობისადმი.

მუხლი 8. ამ დებულების 7 მუხლით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მიზნით არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს უფლება აქვთ:

ა) შეამოწმონ ყოველ დროს ბავშვთა და მოზარდთა მოვლისა და აღზრდის პირობები, სპეციალურ აღმზრდელობით და სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში, არასრულწლოვანთა შრომით კოლონიებში, მილიციის ბავშვთა ოთახებში, ბავშვთა მისაღებებში, საბავშვო სახლებში, სკოლა-ინტერნატებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, მოსთხოვონ ამ დაწესებულებათა ადმინისტრაციებს კომისიების მუშაობისათვის საჭირო ცნობები;

ბ) აწარმოონ აღნიშნულ დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვანთა პირადად მიღება, განიხილონ მათი საჩივრები და განცხადებები;

გ) მოისმინონ კომისიის სხდომებზე ამ დებულების 7 მუხლში ჩამოთვლილ დაწესებულებათა ადმინისტრაციების ინფორმაცია იმ საკითხებზე, რაც დაკავშირებულია ბავშვთა და მოზარდთა მოვლისა და აღზრდის პირობებთან;

დ) შეიტანონ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განსახილველად საკითხები, რაც დაკავშირებულია ზემოჩამოთვლილ დაწესებულებების საქმიანობასთან, სამუშაოზე მოწყობასთან და სასწავლებლებში იმ არასრულწლოვანთა გაგზავნასთან, რომლებიც დაბრუნდნენ სპეციალურ აღმზრდელობით და სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებიდან, ან არასრულწლოვანთა შრომით კოლონიებიდან სასჯელის მოხდის შემდეგ, აგრეთვე იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომელთაც შეეფარდათ სასჯელის ზომა, რაც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული და, რომლებიც ვადამდე გათავისუფლდნენ სასჯელის მოხდისაგან, და არასრულწლოვანებთან აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები.

ე) შეამოწმონ შვილად აყვანილის, მეურვეობაში და მზრუნველობაში მყოფ ბავშვთა და მოზარდთა მოვლისა და აღზრდის პირობები.

მუხლი 9. თბილისის მშრომელთა და დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, სამხრეთ ოსეთის ავტო-

ნომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არასრულწოვანთა საქმეების კომისიებს ევალებათ შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობისა და მართლწესრიგის დარღვევის თავიდან ასაცილებლად, ბავშვთა და მოზარდთა მოსაწყობად, აგრეთვე არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეები არასრულწლოვანთა მიერ მართლწესრიგის დარღვევის შესახებ, რომლებსაც განიხილავენ კომისიები

მუხლი 10. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიებს ევალებათ განიხილონ საქმეები:

1) იმ არასრულწლოვანთა შესახებ, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში ქმედობა 14 წლის ასაკამდე.

2) იმ არასრულწლოვანთა შესახებ, რომლებმაც 14-დან 16 წლამდე ასაკში ჩაიდინეს ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლით არ არის გათვალისწინებული.

3) იმ არასრულწლოვანთა შესახებ, რომლებმაც 14-დან 18 წლამდე ასაკში ჩაიდინეს დანაშაული და რომელთა მიმართ სასამართლომ, პროკურორმა, აგრეთვე გამომძიებელმა პროკურორთან შეთანხმებით შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე ან უარი უთხრა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე და მასალები ან შეწყვეტილი საქმე წარმართა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიაში.

4) იმ არასრულწლოვანთა შესახებ, რომლებმაც ჩაიდინეს სხვა ანტისაზოგადოებრივი საქციელი (წვრილმანი ხულიგნობა, წვრილმანი სპეკულაცია და სხვ).

კომისიებს უფლება აქვთ საქმეები იმ არასრულწოვანთა შესახებ, რომლებიც არიან მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები, სპეციალური საშუალო სასწავლებლების მოსწავლეები განსახილველად გადასცენ ამხანაგურ სასამართლოს არასრულწლოვანთა მუშაობის ან სწავლის ადგილის მიხედვით, თუ ამით შეიძლება მიღწეულ იქნას აღმზრდელობითი ზემოქმედება დამრღვევის მიმართ.

მუხლი 11. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიას მართლწესრიგის დამრღვევ არასრულწლოვანთა მიმართ შეუძლია გამოიყენოს ზემოქმედების შემდეგი ზომები:

1) დაავალდებულოს საჯაროდ ან სხვა ფორმით მოუხადოს ბოდიში დაზარალებულს;

2) გამოუცხადოს საყვედური ან სასტიკი საყვედური;

3) მისცეს გაფრთხილება ერთ წლამდე გამოსაცდელი ვადის დაწესებით;

4) დააკისროს მიყენებული ზარალის ანაზღაურება იმ არასრულწლოვანს, რომელმაც 15 წლის ასაკს მიაღწია, თუ მას აქვს დამოუკიდებელი გამომუშავება და ზარალის თანხა 20 მანეთს არ აღემატება, ან დაავალდებულოს მიყენებული მატერიალური ზარალის თავისი შრომით გამოსწორება, თუ ზარალი 20 მანეთს არ აღემატება.

5) გადასცეს მასალები არასრულწლოვანის მიერ მართლწესრიგის დარღვევის შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სწავლის, მუშაობის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსახილველად და საჭირო ზომების მისაღებად.

6) გადასცეს არასრულწლოვანი თავდებით მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს.

7) გადასცეს არასრულწლოვანი თავდებით ან სამეთვალყურეოდ მშრომელთა კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ან ცალკეულ მოქალაქეებს მათი შუამდგომლობით.

8) გაგზავნოს არასრულწლოვანი ბავშვებისა და მოზარდებისათვის სპეციალურ სამკურნალო-აღმზრდელობით ან აღმზრდელობით დაწესებულებებში.

9) მოათავსოს თერთმეტი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი ბავშვებისა და მოზარდებისათვის სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულებებში მძიმე საზოგადოებრივი ქმედობის და საზოგადოებრივი ქცევის წესების ბოროტად და სისტემატურად დარღვევის შემთხვევაში.

მუხლი 12. სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულებებში აღსაზრდელის ყოფნის ვადის საერთო ხანგრძლიობა ყველა შემთხვევაში არ შეიძლება აღემატებოდეს სამ წელს, მაგრამ ამ ვადის გასვლის შემდეგ აღსაზრდელის თხოვნით იგი შეიძლება დატოვებულ იქნას ამ დაწესებულებებში, თუ ეს აუცილებელია სასწავლებლის დამთავრებისათვის.

აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს მისი ხელახალი აღზრდა, შრომითი კვალიფიკაციის მიღება ან სასწავლებლის დამთავრება, არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიას სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულების ადგილსამყოფელის მიხედვით შეუძლია გაუგრძელოს სრულწლოვანებას მიღწეულ აღსაზრდელს ამ დაწესებულებაში ყოფნის ვადა, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა.

ბავშვთა და მოზარდთა სპეციალურ აღმზრდელობით და სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში არასრულწლოვანთა ყოფნა შეწყდება აღნიშნული დაწესებულების ადგილსამყოფელის რაიონული (საქალაქო) კომისიის დადგენილებით, რის შესახებაც წინასწარ ეცნობება კომისიას არასრულწლოვანთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ბავშვთა და მოზარდთა სპეციალურ აღმზრდელობით და სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში არასრულწლოვანთა ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხს, პერიოდულად (წელიწადში არანაკლებ ერთისა) განიხილავს არასრულწლოვანთა საქმეების კომისია ამ დაწესებულებების ადგილსამყოფელის მიხედვით, როგორც თავისი ინიციატივით ისე ამ დაწესებულებათა ადმინისტრაციის წარდგინებით მშობელთა ან მათ შემცვლელ პირთა შუამდგომლობით.

მუხლი 13. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები შედიან წარდგინებით შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, იმ მშობელთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომლებიც არასწორად ეკიდებიან შვილების აღზრდას, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებიც ქმნიან პირობებს, რათა ბავშვებმა და მოზარდებმა დაარღვიონ მართლწესრიგი, აქეზებენ დანაშაულის ან სხვა ანტისაზოგადოებრივი ქცევის ჩასადენად არასრულწლოვანებს.

მუხლი 14. არასრულწლოვანის მიერ მართლწესრიგის დარღვევასთან დაკავშირებით მშობლებისა და მათი შემცვლელი პირების მიმართ არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიას შეუძლია გამოიყენოს ზემოქმედების შემდეგი ზომები:

1) საზოგადოებრივი გაკიცხვა.

2) გადასცეს საქმე ამხანაგურ სასამართლოს.

3) დააკისროს არასრულწლოვანს მიყენებული ზარალის ანაზღაურება თუ მიყენებული ზარალი ოც მანეთს არ აღემატება.

4) დააკისროს ჯარიმა 20 მანეთამდე.

დაჯარიმებული პირებისაგან აღებული სახსრები ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში კანონით დადგენილი წესით.

კომისიებს უფლება აქვთ წარდგინებით შევიდნენ სასამართლოში მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ თუ დადგენილ იქნება ამ უფლებების ბოროტად გამოყენება ან ბავშვების აღზრდის მოვალეობისაგან ბოროტად თავის არიდება.

საბავშვო სახლებში, სკოლა-ინტერნატებში, ბავშვთა და მოზარდთა სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულებებში არასრულ-

წლოვანთა მოთავსებისას, კომისიებს შეუძლიათ დააკისრონ მშობლებს კანონით დადგენილი წესით სახსრების გადახდა ბავშვების შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად.

არასრულწლოვანთა კომისიებში საქმეთა განხილვის წესი

მუხლი 15. არასრულწლოვანთა საქმეების კომისია განიხილავს საქმეებს:

1) რომლებიც მათ გადაეცათ განსახილველად სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის ან მილიციის მიერ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად.

2) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სკოლებთან არსებული მშობელთა კომიტეტების, სახლთმმართველობებთან არსებული ხელისშემწყობი კომისიებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარდგინებით.

3) სახალხო განათლების ორგანოებისა და მშობელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების წარდგინებით.

4) მოქალაქეთა განცხადებით.

5) საკუთარი ინიციატივით.

საქმის განხილვისას კომისია ვალდებულია გამოავლინოს ის მიზეზები და პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყო არასრულწლოვანთა მიერ მართლწესრიგის დარღვევას, და მიიღოს ზომები მათ აღსაკვეთად.

მუხლი 16. არასრულწლოვანთა საქმეების კომისია საქმეებს განიხილავს მათი შემოსვლის მომენტიდან 15 დღის ვადაში.

კომისიაში საქმის განხილვას საჭირო შემთხვევაში წინ უნდა უძღოდეს შემოწმება, რომელსაც მოახდენს კომისიის წევრი ან კომისიის დავალებით საზოგადოებრივი ინსპექტორი.

მუხლი 17. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას უფლება აქვს გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტები და ცნობები, აგრეთვე გამოიწვიოს თანამდებობის პირები და მოქალაქენი კომისიის მიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებისათვის.

მუხლი 18. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიაში საქმის განხილვამდე კომისიის თავმჯდომარე ან წევრი, ვისაც ეს დავალებული აქვს, კომისიაზე გადაცემულ პირს ან მის კანონიერ წარ-

მომადგენელს გააცნობს ყველა მასალას, ადგენს ვინ უნდა იქნას გამოძახებული კომისიის სხდომაზე, ნიშნავს საქმის განხილვის დროს და ადგილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 19. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება მისი შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი, კომისიის დადგენილება მიიღება სხდომაზე მონაწილე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 20. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის სხდომაზე სავალდებულოა იმ პირის დასწრება, რომლის საქმეც ირჩევა, აგრეთვე მშობლების ან მათი შემცვლელი პირებისა, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში აღმზრდელობითი დაწესებულებების წარმომადგენლების დასწრება.

მუხლი 21. არასრულწლოვანთა საქმეების კომისია განიხილავს საქმეზე შეკრებილ მასალებს, მოისმენს კომისიაზე გადაცემულ განმარტებას და საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ განხილვის შემდეგ მიიღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

1) გამოყენებულ იქნას ამ დებულების 11 მუხლით გათვალისწინებული ზემოქმედების ერთ-ერთი ზომა.

2) შეწყდეს საქმე.

3) გადადებს საქმის განხილვას და ჩაატარებს დამატებით შემოწმებას.

4) გადასცემს საქმეს პროკურატურის ორგანოებს.

კომისია საქმის განხილვისას და გადაწყვეტილების გამოტანისას ხელმძღვანელობს თავისი საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებით, მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით.

მუხლი 22. კომისიის სხდომაზე შედგება ოქმი, მართლწესრიგის დამრღვევის განმარტების, დაზარალებულის და მოწმეთა ჩვენების, აგრეთვე საქმესთან დაკავშირებული სხვა მონაცემების მოკლე ჩანაწერით.

ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 23. კომისიის დადგენილება ფორმდება წერილობით და უნდა იქნას მოტივირებული. დადგენილებაში ზემოქმედების ზომის შეფარდების შესახებ აღინიშნება დარღვევის არსი, დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც საფუძვლად დაედო დადგენილების გამოტანას და კომისიის მიერ განსაზღვრული ზემოქმედების ზომა, მისი შეფარდების მოტივების აღნიშვნით.

კომისიის გადაწყვეტილებას ხელს აწერენ თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის წევრები, რომლებიც საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ და აქვეყნებს თავმჯდომარე მისი მიღებისთანავე.

კომისიის მიერ მიღებული დადგენილება ეცნობება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მართლწესრიგის დამრღვევ არასრულწლოვანთა სწავლის, მუშაობის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე მშობლების ან მათი შემცვლელი პირების მუშაობის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 24. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დადგენილება იმ საკითხებზე, რაც მის კომპენტენციაში შედის სავალდებულოა ყველა დაწესებულებისათვის, საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.

კომისიის დადგენილება ფულადი გადასახდელების შესახებ აღსრულებულ უნდა იქნას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 25. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დადგენილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას 10 დღის ვადაში მისი მიღების დღიდან მშრომელთა დეპუტატების საბჭოს შესაბამის აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც ვალდებულია საჩივარი განიხილოს შვიდი დღის ვადაში. აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება საჩივრის გამო საბოლოოა.

მუხლი 26. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიების ტექნიკური მომსახურება ეკისრებათ შესაბამის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. დადგენილება—მახარაძის, სამტრედიისა და ახალქალაქის ბავშვთა რაიონული სპორტული სკოლების მუშაობის შესახებ 3
2. ბრძანება № 49—ცხაკაიას, ყვარლის, ლაგოდეხისა და გარდაბნის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 7
3. ბრძანება № 63—ქ. ჭიათურისა და საჩხერის რაიონის სკოლებში საწარმოო სწავლების მდგომარეობის შესახებ 11
4. დადგენილება—განათლების მუშაკთა ხელფასის მომატებაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მახარაძის, ბორჯომისა და ხაშურის რაიონებში 16
5. ბრძანება № 82—სპორტის ტექნიკურ სახეებში საკავშირო III სპარტაკიადისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ 21
6. ბრძანება № 83—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 8 აპრილის № 403 ბრძანების შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ ჩოხატაურის რაიონის კოხნარის საშუალო სკოლაში 25
7. დებულება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალისა 27
8. ბრძანება № 109—კოჯრის სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 34
9. ბრძანება № 110—ნორიოს საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 36
10. ბრძანება № 111—მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა პატრონირების, გაშვილებისა და მეურვეობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ 39
11. ბრძანება № 112—გეგეჭკორის საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 43
12. პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის წესები მოსწავლეთათვის 46
13. ბრძანება № 125—არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების თაობაზე დებულების გამოქვეყნების შესახებ 48
14. დებულება არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შესახებ 49

5·3/19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/II-65 წ. ანაწყობის ზომა 6×10.
ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3,75.

შეკ. 163. უე—01169 ტ. 5000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის თბილისის სტამბა № 11
ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის ქუჩა № 19

Тбилисская типография № 11 Главполиграфпрома государственного
комитета Совета Министров Груз. ССР по печати
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе № 19